პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1978 • კვირა 8 იანვარი • № 7 (17051) • ფასი 2 კაპ. 1978

1979 წლის ანგარიშზე

წარმატებით დამთავრა გასული წელი თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივმა. აქ ზეგეგმითი 5200 ათასი მანეთის ხარისხოვანი საჭირბოროტო ნაწილები, ხრახნმჭრელები და ფრეზებია გამოშვებული.

კარგად შრომობენ ფრეზების საამქროს ბრიგადები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტური შრომის დამკვრელები გ. ტოგონიძე და ე. სამხარაძე, ეს ბრიგადები უკვე 1979 წლის ანგარიშზე მუშაობენ.

სურათზე: გ. ტოგონიძე (მარცხნივ) და ე. სამხარაძე.

ს. კილაძის ფოტო.

კრიზისის ქმედითობა

ПРАВДА 7 იანვრის მოწინავე

ყველა რგოლში მუშაობის სრულყოფა — და ეს ერთხელ კიდევ აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმმა — ახლა უპირველეს მნიშვნელობას იძენს. პარტია დიდად აფასებს ადამიანებში ქმედმარიტად შემოქმედებითს მიდგომას საქმისადმი, უნარს მიაღწიოს უმაღლეს მაჩვენებლებს უმცირესი დანახარჯებით, მისწრაფებას, რომ იყოს სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნების სიმაღლეზე.

ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საამაყო, მაგრამ ნათლად უნდა დავინახოთ, რომ პრობლემები ჯერ კიდევ არცთუ იხე ცოტაა. როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, „სათანადო წესრიგის დამყარება იქ, სადაც ეს წესრიგი ჩვენში ირღვევა, — წარმოებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, — ჩვენი საზოგადოების განვითარების დიდი რეზერვია“.

კომუნისტური მშენებლობის ჰიმდინარეობასა და კადრების აღზრდაზე პარტიული ზემოქმედების ხხვა საშუალებებთან ერთად საჭიროა უკეთ გამოვიყენოთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაკადი მეთოდი. უკეთ — უწინარეს ყოვლისა ნაშნავს ფაქტობრივად, უფრო ზუსტად, უფრო ქმედითად, შედეგიანად ვიყენებდეთ მას. რა ფასი აქვს იმ კრიტიკულ ბატალიებს, რომლებიც მხოლოდ „ბუქს აყენებს“, ხოლო ნამდვილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაზე რეალურ გავლენას ვერ ახდენს. რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს, აღინიშნა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, 19-ჯერ განიხილა მთელი რიგი საწარმოების ჩამორჩენის მიზეზები. რა კრიტიკული ეცადლი და მახვილი დაატრიალეს, რამდენი ვრცელი ღონისძიება დაისახა! მაგრამ მათგან ბევრი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. უფრო მეტიც, სამინისტროს ხელმძღვანელები, როგორმე ერთგვარი კეთილდღეობის შთაბეჭდილება რომ შეექმნათ, საგეგმო და საფინანსო დისციპლინის პირდაპირ დარღვევასაც არ მოერიდნენ.

კრიტიკა სასარგებლო და აუცილებელია არა მარტო მაშინ, როცა უკვე აშკარაა ჩავარდნები და ბოროტმოქმედება, არამედ პროფილაქტიკური მიზნითაც — როცა არ იყენებენ მუშაობის გაუმჯობესების ყველა შესაძლებლობას, არ იჩენენ თვითკრიტიკას, როცა ვლინდება მოდუნებისა და უძრაობის ტენდენცია. უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე სწორედ ამისთვის გააკრიტიკეს ბუხარის ოლქის ხელმძღვანელობა, სადაც ცუდად უძღვებიან მეცხოველეობის განვითარებას.

ჩვენში ჯერ კიდევ არ გადაშენებულან ყოველგვარი პროექტების წამოყენების, საკითხების გაზვიადების და „ამბავნელების“ მოყვარულნი. საქმე ის არის, რომ გაშოვნახოთ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საიმედო საშუალებები და ენერგიულად ვიბრძოლოთ მათი დაძლევისთვის. „უარყოფითი“ ლოზუნგი ხომ, რომელიც დაკავშირებული არ არის გარკვეულ დადებითს გადაწყვეტასთან, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, კი არ „ამახვილებს“ არამედ ადუნებს შეგნებას, რადგან ასეთი ლოზუნგი, ფუქი ქაქანი, უშინაარსო დეკლამაციაა. კი არ უნდა ვექანებოდეთ, არამედ ვაკლენდეთ სწორედ იმ პრობლემებს დადებით გადაწყვეტებს, რომლებიც ადამიანებს აწუხებთ, — აი რა არის კრიტიკის აზრი, საბოლოო მიზანი.

პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა საქმის არსში ჩაწვდომისა და ძირი ობიექტური პარტიული საფუძვლიანი გადაწყვეტის, შეცდომების, არაკომპეტენტურობისა და უგერგილობის, სუბიექტივიზმის ელემენტების დაძლევის შესაძლებლობას იძლევა. მაგრამ ეს რთული მეთოდიცაა, რადგან ცოცხალი ადამიანებით იფარგლება და ღრმად, ზოგჯერ მეტად მტკივნეულადაც ეხება მათს წარმოდგენებს პირადი ავტორიტეტის, ღირსების, გარშემო მყოფთა თვალში მათი პატივისცემის შესახებ. კრიტიკამ, მართლაც არავინ და არასდროს არ უნდა დაამციროს. მაგრამ იმთავაც, ვისაც სამართლიანად ეხება იგი, არ უნდა აუროინთ ერთმანეთში ეგოისტური, კუთხური, უწყებრივი ინტერესები და საერთო-პარტიული, საერთო-საბჭოთა-სახელმწიფოებრივი ინტერესები. ვერ შევუთანხმდებთ იმას, რომ ზოგიერთი მუშაკი კრიტიკაზე მტკივნეულად რეაგირებს, ყველაფერს საწყენად იღებს. და ამის შემდეგ ყველაფერზე მსჯელობას იწყებენ გულნატკენობის, შელახული პირადი თავმოყვარეობის პოზიციიდან. ენკაიევოს მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ი. ვ. ჩერნეტა იმდენად გაანწყენეს ადგილობრივ გაზეთში მის მიმართ გამოთქმულმა კრიტიკამ, რომ ერთ-ერთი თათბირის დაწყების წინ ულტიმატუმიც კი წამოაყენა: „ან მე — ან ის“. მან გაიტანა კიდეც თავისი: თათბირი მხოლოდ მას შემდეგ გაიხსნა, როცა „ის“ — გაზეთის კორესპონდენტი წავიდა სხდომათა დარბაზიდან.

პარტიული კომიტეტები, ყველა დონის ხელმძღვანელები კრიტიკასადმი სწორი დამოკიდებულების მაგალითს უნდა გვიჩვენდნენ. საქმე ეხება პარტიულ მომთხოვნელობასა და პრინციპულობას, კადრების პოლიტიკური, საქმიანი და ზნეობრივი თვისებების ღრმა ცოდნას, სისტემატური კონტროლის ორგანიზაციას კამოვლენილი ნაკლოვანებებისა და უარყოფითი მოვლენების წარმოშობის მიზეზების, აღმოფხვრისადმი. ეს იმის უტყუარი გარანტიაა, რომ ჩვენ ნორმებსა და პრინციპებს ვერავინ ვერ დაარღვევს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ თანამედროვე პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას, კონტროლის გაძლიერებას საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი, საწარმოო და საგეგმო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისადმი. ეს ამოცანები მუდამ უნდა იდგეს პარტიული ორგანოების, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ჩვენი პრესის ყურადღების ცენტრში. პარტიული კომიტეტების პირდაპირი მოვალეობაა გააძლიერონ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების როლი მუშაობის ლენინური სტილის თანამიმდევრულ დამკვიდრებაში, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებაში, მხარი დაუჭირონ პრინციპულ გამოსვლებს.

უეჭველია, რომ მთლიანად უკეთესობისაკენ შეიცვალა სკკპ XXV ყრილობის შემდეგ ბეჭდვითი კრიტიკის შინაარსიც, დასაბუთებაც, მისდამი დამოკიდებულებაც, კვლავაც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ნამდვილი კრიტიკისათვის უცხო უნდა იყოს გაღიზიანება და ამჩატება, გარეგნული ეფექტურობა, ხენსაციურობა. სწორად იქცევიან იქ, სადაც მაღალ მომთხოვნელობას იჩენენ პრესაში კრიტიკის დონისადმი. ასევე არსებითია ისიც, რომ მისი მუშაკები, როცა დიდსა და აქტუალურ თემებს აღძრავენ ხოლმე, გრძნობდნენ პარტიული კომიტეტის დაინტერესებულ, პრინციპულ პოზიციას. უალრესად საჭიროა, როგორც აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში ტამბოვის საოლქო პარტიული ორგანიზაციის შესახებ, — კვლავაც ავამაღლოთ პარტიული კომიტეტების პლენუმების, კომუნისტთა კრებების მნიშვნელობა, ამ პლენუმებსა და კრებებზე გამოთქმული კრიტიკისა და თვითკრიტიკის დონე, სკკ-ბასის ქმედითობა. გადაჭრით უნდა აღვკვეთოთ კრიტიკის ჩახშობის შემთხვევები, მივუთითოთ, ხოლო თუ საჭირო გახდა, დავსაჯოთ და თანამდებობიდანაც კი მოვხსნათ მუშაკები, რომლებიც სწორად არ რეაგირებენ კრიტიკაზე, დევნიან გაკრიტიკებულ ამხანაგებს. და, რა თქმა უნდა, ყველგან უნდა დავამყაროთ მკაცრი კონტროლი კრებებზე, პრესაში გამოსვლების, მწერალთა წერილებში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების ქმედითობისადმი, მივაღწიოთ ამას, რომ ცნობები მიღებულ ღონისძიებათა შესახებ დროულად ქვეყნდებოდეს და ყოველთვის კონკრეტული, საქმიანი ხასიათი ჰქონდეს.

ჯანსაღი, კონსტრუქციული კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება მუშაობის ლენინური სტილის განუყოფელი ნიშანთ-თვისებაა. ამ სტილის დაუფლება კი ყოველთვის იყო და იქნება საარსებო მნიშვნელობის ამოცანა.

ასე ზრდიან ნარმოების მოცულობას

ახალი წლის პირველი დღეებიდანვე კარგი შრომითი სტარტი აიღო თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საქსოვი საამქროს № 3 ბრიგადამ, რომელსაც სოლომონ ბერუაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ გასული წლის გეგმა 110 პროცენტით შეასრულა, 20 ათას მეტრამდე. ზეგეგმითი ხამი აბრეშუმის ქსოვილი გამოუშვა. ამასთან ნაწარმის ხარისხი საგრძნობლად გაუუმჯობესა.

— ჩვენი ბრიგადის წევრებმა, — თქვა ს. ბერუაშვილმა, — გაერთიანებაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ოქტომბრის საიუბილეო წელს მიეძღვნა, ექვსჯერ გაიმარჯვეს. ახალი წელი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების პასუხად, დამკვრელური შრომით დავიწყეთ.

წელს თბილისელმა მეაბრეშუმეებმა შარშანდელთან შედარებით წარმოების მოცულობა 5,9 პროცენტით უნდა გაზარდონ, გამოშვებული იქნება 42.100 ათასი მანეთის პროდუქცია — როგორც ნატურალური, ისე ხელოვნური აბრეშუმის საკაბე ქსოვილები.

ახლა გაერთიანების კოლექტივი საპატიო ხუთკუთხა ნიშნით ხუთი არტიკულის ქსოვილს ამზადებს. ხარისხის ნიშნის მოსაპოვებლად მზადდება კიდევ ორი ნიმუშის ნაწარმი.

ჯ. ბალაშვილი.

ავამოქმედოთ ყველა რეზერვი!

1978 წლის სოციალისტური ვალდებულებები:

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს № 8 ღუმელის, № 2 ბრიგადის (ხელმძღვანელი ო. ლომიძე) კოლექტივისა:

გამოიწვია რა სოციალისტურ შეჯიბრებაში ამავე ღუმელის მეფოლადეთა ბრიგადა, რომელსაც გ. ბარბაქაძე უდგას სათავეში, ბრიგადის კოლექტივმა იკისრა შემდეგი ვალდებულებანი:

ერთ წელიწადში გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 150 ტონა ფოლადს;

ღუმელის კამარის სიმტკიცეს გაადიდებს 350 ნადნობამდე;

წუნს 1977 წელთან შედარებით შეამცირებს 10 პროცენტით;

პროფესიას შეასწავლის ორ ახალგაზრდა მუშას;

ყველა ნადნობს მაღალხარისხოვნად გამოუშვებს;

არ ექნება საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევები;

დაზოგავს 50 ტონა პირობით სათბობს;

აქტიური მონაწილეობას მიიღებს საამქროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თბილისის საგალანტერეიო-ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების კოლექტივისა:

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციის, მოქმედი აგრეგატების რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის, წარმოების საპროექტო სიმძლავრეთა შემდგომი გადიდების საფუძველზე წლის მანძილზე გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 300 ათასი მანეთის პროდუქციას, ხოლო მოახდენს 150 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაციას;

სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების კოლექტივებთან შეუოქმედებითი თანამეგობრობის შემდგომი განვითარების გზით ერთი პროცენტით აამაღლებს საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონეს.

მოწყობილობის ექსპლოატაციის მოწინავე გამოცდილების ფართო გამოყენებისა და მუშაკთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლების, აგრეთვე საუბნო დროის მაქსიმალური გამოყენების გზით შრომის ნაყოფიერებას დავალების გადამეტებით აამაღლებს 0,5 პროცენტით.

ნერგავს რა ხარისხის მართვის „კომპლექსურ სისტემას“ და იწყებს სოციალისტურ შეჯიბრებას დევიზით „ხარისხს ხუთწლედს — მუშური გარანტია!“, ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოსავლიანობას გეგმის გადამეტებით გაადიდებს 50 ათასი მანეთით;

დადგენილი ნორმის გადამეტებით დაზოგავს 0,2 ტონა სუფთა შალისა და ხინთეტიკური ნართს;

რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებების დანერგვის გზით მიიღებს ორი ათას მანეთ ეკონომიკურ ეფექტს;

ხვედრითი კაპიტალური დანახარჯებისა და საუკეთესო-ატაცო ხარჯების შემცირების გზით მიიღებს 20 ათას მანეთ დამატებით მოგებას;

ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმის ვადამდე რეალიზაციის შედეგად მიიღებს 0,3 ათას მანეთ ეკონომიკურ ეფექტს.

საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ კოლექტივისა:

ახორციელებს რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებსა და ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით, გაერთიანების კოლექტივმა ვალდებულება იკისრა:

წლიური გეგმის გადამეტებით უზრუნველყოფს სულ ცოტა 300 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებასა და რეალიზაციას;

გეგმის გადამეტებით აწარმოებს სულ ცოტა 2.000 ტონა ბარიტის კონცენტრატს, 2.000 ტონა ბენტონიტის პროდუქციას, 1.500 ტონა დაფქული გუმბრინს, 1.200 ტონა ანდეზიტის ფხვნილს, 150 ათასი მანეთის დარიშხანის პროდუქციას;

დაამთავრებს პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვას და ამ გზით უზრუნველყოფს სულ ცოტა 600 ათასი მანეთის ხარისხის სახელმწიფოსნიშნიანი პროდუქციის გამოშვებას, რაც პროდუქციის საერთო გამოშვების 16 პროცენტს შეადგენს, გეგმით გათვალისწინებული 13,3 პროცენტამდე;

სათბობის, ელექტროენერგიის, სამაგრი ხე-ტყისა და სხვა მასალების დაზოგვის გზით შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და მოგებას გეგმის გადამეტებით გაადიდებს სულ ცოტა 100 ათასი მანეთით;

შრომის ნაყოფიერებას გეგმასთან შედარებით გაზრდის 1,7 პროცენტით; პროდუქციის მთელ მატებას მიიღებს შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით;

დაუცხრომლად იბრძოლებს შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ამასთან ფართოდ დანერგავს რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობას: „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით!“;

აითვისებს სამი ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვებას;

ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიური პროცესებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გზით წელიწადზე გადაანგარიშებით მიიღებს სულ ცოტა 300 ათას მანეთ ეკონომიკურ ეფექტს.

ვალდებულებანი ითვალისწინებენ აგრეთვე კოლექტივის სოციალური განვითარების მთელ რიგ საკითხებს.

ბურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის № 4 ბრიგადის (ხელმძღვანელი გ. კენკიშვილი) კოლექტივისა:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გადაწყვეტილებები აღფრთოვანებული ბრიგადის წევრები, რომლებიც ესწრაფვიან გადიდებული შრომითი წარმატებებით აღინიშნონ მეათე ხუთწლედის მესამე წელი, 1978 წლისათვის კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

ბრიგადისათვის გაპიროვნებული 60 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თითოეულ ჰექტარზე მოიწევენ 120 ცენტნერ მოსავალს, გეგმით გათვალისწინებული 100 ცენტნერის ნაცვლად;

აწარმოებენ 7.200 ცენტნერ ყურძენს გეგმით გათვალისწინებული 6.000 ცენტნერის ნაცვლად;

ვენახების სიმეჩხრეს შეამცირებენ 0,5 პროცენტამდე;

შრომის ნაყოფიერებას ამაღლებენ 11 პროცენტით;

აწარმოებენ მხოლოდ მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქციას;

იბრძოლებენ კოლექტივისათვის კომუნისტური შრომის ბრიგადის მაღალი წოდების მინიჭებისათვის.

(საქინფორმი).

მწყობრშია ატომმავალი „სიბირი!“

ლენინგრადი. (ხაზდესი). სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი აღიმართა ატომურ ყინულმჭრელ „სიბირზე“. ახალი ატომმავალი ბალტიის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთმაშენებელი ქარხნის ნავმისადგომში დააყენეს. იგი აქ აშენდა და აქედან გაემგზავრება მიწერის ნავსადგურში — მურმანსკში, შემდეგ კი ყინულის ეახტზე არქტიკის ზღვებში.

გემბანზე საზეიმო მწყობრში გაირინდნენ მეზღვაურები — ჩვენი ქვეყნის ყინულმჭრელი ფლოტის საზღვაო დიდების გამგრძელებელნი.

ალმის აღმართვის პატივი ხვდა ბოცმანს ლ. ვ. გრიცაის.

საზეიმო ცერემონიას დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. რომანოვი.

— ჩვენი ბრიგადის წევრებმა, — თქვა ს. ბერუაშვილმა, — გაერთიანებაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ოქტომბრის საიუბილეო წელს მიეძღვნა, ექვსჯერ გაიმარჯვეს. ახალი წელი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების პასუხად, დამკვრელური შრომით დავიწყეთ.

წელს თბილისელმა მეაბრეშუმეებმა შარშანდელთან შედარებით წარმოების მოცულობა 5,9 პროცენტით უნდა გაზარდონ, გამოშვებული იქნება 42.100 ათასი მანეთის პროდუქცია — როგორც ნატურალური, ისე ხელოვნური აბრეშუმის საკაბე ქსოვილები.

ახლა გაერთიანების კოლექტივი საპატიო ხუთკუთხა ნიშნით ხუთი არტიკულის ქსოვილს ამზადებს. ხარისხის ნიშნის მოსაპოვებლად მზადდება კიდევ ორი ნიმუშის ნაწარმი.

ჯ. ბალაშვილი.

„სალუტ-6“ ოთხი კვირა კოსმოსში

ფრუნზის მართვის ცენტრი, 7 იანვარი. (ხაზდესი). მთავრდება „სალუტ-6“ ორბიტულ სამეცნიერო სადგურში კოსმონავტების იური რომანენკოსა და გიორგი გრეჩკოს ფრენის მეოთხე კვირა.

გასულ პერიოდში ორბიტული სადგურის ეკიპაჟმა შეასრულა დიდი მოცულობის მეცნიერული, ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევა და ექსპერიმენტები. ფრენის დროს კოსმონავტებმა შეასრულეს სადგურის სისტემებისა და აგრეგატების შემოწმებისა და მომსახურების მთელი რიგი პროფილაქტიკური სამუშაოები, გავიდნენ ღია კოსმოსური სივრცეში.

რეგულარულმა სამედიცინო დაკვირვებამ და კვირაში ერთხელ ყოველმხრივმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ უწონობისადმი მათი ადაპტაციის პროცესი ნორმალურად მიმდინარეობდა. მიღებულ სამედიცინო მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ორგანიზმზე კოსმოსური ფრენის ფაქტორების გამოვლენების უფრო ღრმა შეცნობისათვის.

დღეს ეკიპაჟს აქტიური დასვენების დღე აქვს. კოსმონავტები აწარმოებენ სამეცნიერო ექსპერიმენტის პროფილაქტიკურ შემოწმებას, ფიზიკურად ვარჯიშობენ, ისვენებენ.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ეკიპაჟის მოხსენებების შესაბამისად, იური რომანენკო და გიორგი გრეჩკო თავს კარგად გრძნობენ.

სადგურის სპორტო ხისტემები ნორმალურად მუშაობს, დაგეგმილ სამუშაოთა პროგრამა წარმატებით სრულდება. „სალუტ-6“ ორბიტული სადგურის ფრენა გრძელდება.

ლევ ტოლსტოის იუბილეს გამო

მიმდინარე წლის სექტემბერში სრულდება დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 150 წელი.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა შექმნა საკავშირო საიუბილეო კომიტეტი ამ თარიღთან დაკავშირებული ღონისძიებების მომზადებისა და მოწყობისათვის. მასში შედიან გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, კულტურის, მეცნიერების წარმომადგენლები, ჟურნალისტები. კომიტეტს მეთაურობს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გაგეგმების პირველი მდივანი გ. მ. მარკოვი.

იუბილეს გამო მოსკოვში გაიმართება საზეიმო სხდომა, საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მწერლის შემოქმედებას მიეძღვნება. (ხაზდესი).

ქალმშენებლობებისათვის



ბარნაულსკში ამუშავდა კერამიკული საკედლე მასალების ქარხანა. ყველა პროცესი — ნედლეულის მომზადებით დაწყებული და მზა პროდუქციის გამოსვლით დამთავრებული — ავტომატიზებულია. ერთ-ერთ ავტომატურ ხაზზე აწარმოებენ დიდზიცარიელიან გამძლე კერამიკულ ბლოკებს (სიცარიელეს შეიძლება მთელი მოცულობის 70 პროცენტი ეკავოს). ახალ ბლოკებს იყენებენ არაშავმიწანიადაგიანი ზონის ოლქებში საცხოვრებელი სახლებისა და საწარმოო შენობების მშენებლობისათვის.

სურათზე: ნედლი ნაწარმის მაგროვებელი კერამიკული საკედლე მასალის ავტომატურ ხაზზე. (ხაზდესის ფოტოქრონიკა).

უკანასკნელ საათს

მსოფლიოს ამბები

მოგზაურობა დამთავრდა

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი ვაშინგტონში დაბრუნდა საზღვარგარეთ ცხრა დღის მოგზაურობიდან. ვიზიტის საბოლოო ეტაპზე საფრანგეთში მოლაპარაკების შემდეგ იგი ეწვია ნატოს შტაბ-ბინას ბელგიაში, სადაც დასასრულ სხდომაზე გამოვიდა.

როგორც პრესის ცნობები მოწმობენ, ეს სიტყვა მიეძღვნა ვაშინგტონის იმ განზრახვას, რომ ყოველნაირად გაზარდოს ბლოკის სიძლიერე, გააფართოოს ამერიკის „სამხედრო ყოფნა“ დასავლეთ ევროპაში. ჯ. კარტერმა, კერძოდ, განაცხადა, რომ შეერთებული შტატები უახლოეს წლინახევრის მანძილზე გაზრდიან ამერიკის ჯარების რიცხვს ევროპის კონტინენტზე კიდევ 8 ათასი კაცით.

განაგრძობენ ძირგამომთხრელ მოქმედებას

ლუანდა. უცხოეთის რეაქციული წრეები კვლავ ცდილობენ უკუღმა შეატრიალონ რევოლუციური პროცესის განვითარება ანგოლაში. ისინი განაგრძობენ ძირგამომთხრელ მოქმედებას მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. ეს განაცხადა საკედლის სპეციალური კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ანგოლის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა პაულუ

ორეიმ.

იმპერიალიზმის ძალებსა და მის აგენტებს არ სურთ შეურიგდნენ ჩვენი ხალხის იმ გადაწყვეტილებას, რომ იარონ სოციალიზმის მშენებლობის გზით, დაეხმარონ სამხრეთ აფრიკის განმათავისუფლებელ მოძრაობებს დამოუკიდებლობისათვის, რასისტულ-ფაშისტური რეჟიმების წინააღმდეგ კანონიერ ბრძოლაში.

ჯ. ჟისკარ დესტენის პრესკონფერენცია

პარიზი, საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟისკარ დესტენმა ელიხეს სასახლეში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან მოლაპარაკების დროს განიხილა, კერძოდ, ისეთი საკითხები, როგორიცაა დაძაბულობის შენელება, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა.

როცა ეთიოპია-სომალის კონფლიქტს შეეხო, პრეზიდენტმა თქვა, რომ ამ კონფლიქტის მოწესრიგების საფუძველი უნდა იყოს აფრიკის სახელმწიფოთა იმ საზღვრების პატივისცემის პრინციპი, რომლებიც მემკვიდრეობით მიღებულია კოლონიური დროიდან.

ჟისკარ დესტენმა ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთი მხარს უჭერს ახლო აღმოსავლეთის ყოვლისმომცველ მშვიდობიან მოწესრიგებას. ეს ნიშნავს, თქვა მან, რომ მშვიდობიანი გადაწყვეტა უნდა მოიწონოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ.

აძლიერებენ რეპრესიებს

მაგუტუ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული ხელისუფალნი აძლიერებენ რეპრესიებს აპარტეიდის პოლიტიკის მოწინააღმდეგეების მიმართ. ათასობით დემოკრატი სამეტიმროში ზის გაუსამართლებლად და გამოუძიებლად. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მარტო „შინაპატიმრობაშია“ 700-ზე მეტი კაცი.

ხაზდესი, 7 იანვარი.



დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი!

გადაწყვეტილების ავტორიტეტი პრაქტიკული საქმეა

როგორ ვაამოწმებთ მიღებულ დადგენილებებს

ალბათ დამეთანხმებით, რომ თუმცა ყოველი პარტორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა და ავტორიტეტი მრავალი ფაქტორით არის განპირობებული და უდიდესი, ყოველდღიური ორგანიზატორულ-პოლიტიკური მუშაობის შედეგია, მისი ავტორიტეტის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი პირობა მაინც ის არის, თუ როგორ ასრულებს საკუთარ გადაწყვეტილებებს, როგორი თანმიმდევრობით იბრძვის მათი განხორციელებისათვის. დადგენილების შესრულების კონტროლი, მოგეხსენებათ, მუშაობის ლენინური სტილის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, უფრო ზუსტად კი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმამდე, რომელმაც შესრულების შემოწმებისა და კონტროლის ორგანიზაციის გაუმჯობესების ნამდვილად მეცნიერული რეკომენდაციები მოგვცა, ამ მნიშვნელოვან საქმეში ბევრი ნაკლოვანება გვქონდა. დაბალი იყო თვით პარტიული კრებების — კომუნისტთა აღზრდისა და წრთობის ნამდვილი სკოლის როლი. მაგალითად, პარტიული კომიტეტის სხდომებსა და პირველადი პარტორგანიზაციების კრებებზე ხშირად განვიხილავდით ისეთ საკითხებს, რომლებზეც წინათაც ბევრჯერ გვიმსჯელია, სათანადო დადგენილებებიც მიგვიღია, მაგრამ, რაკი ზოგჯერ ეს დადგენილებები არ იყო კონკრეტული, ან მათი შესრულებისათვის არავინ ზრუნავდა, სასურველი შედეგსაც ვერ ვაღწევდით. ასეთი შეუწყნარებელი ვითარება რომ არ განმორებულიყო ბოლო წლის დასაწყისიდანვე მტკიცე კონტროლი დავუწესეთ მიღებული დადგენილებების შესრულებას. რასაც კარგი შედეგი მოჰყვა. მაგალითად, ნახამდე პარტიული ორგანიზაციის კრებებსა და პარტიული კომიტეტის სხდომებზე არაერთხელ აღვნიშნავს, რომ გასაუმჯობესებელია მეცხოველეობის ფერმის მუშაკთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები. მეცხოველეებს განსაკუთრებით უჭირდათ მუშაობა ზაფხულში, რადგან სასაფხულო იალაღებზე მთებში მათ არ ჰქონდათ საცხოვრებელი ბინები და საწველი ფარდულები, რის გამოც უთანხმობასს ჭირდა ძროხების მოწველა და ხბორების მოვლა. ამის შედეგად მოშები ხშირად ფერმაში საშუშაოდ წასვლას ყარს იუხადებდნენ, ხდებოდა ფერმიდან მუშათა დენადობა...

გასული წლის გაზაფხულზე ჩვენ ეს საკითხი კვლავ განვიხილეთ, მივიღეთ კონკრეტული დადგენილება, განვსაზღვრეთ მისი შესრულების ვადები და დავაწესეთ კონტროლი. მაგრამ საკითხის განხილვისას ისიც გამოირკვა, რომ საბჭოთა მეურნეობის დირექციას, რომელსაც არანაკლებ ეწოდა მეცხოველეობის ფერმის მუშაკთათვის საზაფხულო იალაღებზე საცხოვრებელი ბინებისა და საწველი ფარდულების აგება, ამ საქმეში ხელი ეშლებოდა საშენი მასალის ნაკლებობის გამო. მეურნეობის პარტკომსა კომიტეტმა დახმარებისათვის პარტიის ადგენილ რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომს მიმართა, რომლებმაც მართლაც საქმიანი დახმარება გაგვიწიეს. გამოგვიყვეს საკირო რაოდენობის ხე-ტყე და შიფერი. მეურნეობის მეცხოველეებმა კომფესტის კ. კოკორიძის ხელმძღვანელობით მოკლე დროში მთლიანად დაამთავრეს კიდეც საზაფხულო იალაღებზე საწველი ფარდულებისა და საცხოვრებელი ბინების შენებლობა.

ყველა ბრიგადაში ცალ-ცალკე მოვაწყეთ ბგრეთვე წითელი კუთხე, სადაც თავისუფალ დროს მწყემსები და მწველავები კითხულობდნენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს. ისმენდნენ რადიოგადაცემებს. აქვე ამართებოდა ხოლმე მათთვის მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიებები (აგიტსაუბრები, პოლიტინფორმაციები, ლექციები და სხვა).

ყოველივე ამის შედეგად მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა. მეცხოველეობის ფერმებში შრომა უფრო სახალისო გახდა. პირუტყვის პროდუქტიულობამაც იმატა. საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებმა თითოეული ძროხის წველადობა წინა წლებთან შედარებით 222 კილოგრამით გაზარდეს და წლიური გეგმაც ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერებისას საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმებმა რაიონში პირველი ადგილი დაიკავეს.

ნათქვამია, ეძიებდე და ჰპოვებდეო. ჩვენ ამ ძიებაში იმას ვგულისხმობთ, რომ მუდამ გვითვალისწინოთ კომუნისტების აზრი, შეხედულებები. აი გადავწყვიტეთ, რომ საქმიერი იყო უფრო დაკვიზეული და ფართოდ გამოვეყენებინა მატერიალური სტიმულირების ფორმები, დაგვენერგა ამ საქმეში აბაშელთა მოწინავე გამოცდილება. პარტიულმა კომიტეტმა მეურნეობის დირექციასთან ერთად შეიმუშავა სათანადო ღონისძიებანი და დაადგინა, რომ გეგმა-ვალდებულების შესრულებისათვის მუშა ნატურით მიიღებდა წარმოებული პროდუქციის 10 პროცენტს, ხოლო ვალდებულების გადამეტებით შემენილი პროდუქცია მთლიანად მისი იქნებოდა.

მაგრამ ეს კარგი წამოწყება ჯერ, როგორც იტყვიან, მხოლოდ მედლის ერთი მხარე იყო. ახლა უნდა გვეზრუნა მისი განხორციელებისათვის, გაგვეგო მშრომელების აზრი და ამის საფუძველზე, თუ კი საჭირო იქნებოდა, გარკვეული კორექტივებიც შეგვეტანა ჩვენს გეგმებში. ამიტომაც საკითხი განვიხილეთ პარტიული კომიტეტის სხდომაზე, მივიღეთ შესაბამისი დადგენილება, რომლის შესრულებისადმი სისტემატური კონტროლი დავაწესეთ. შემდგომ კი საკითხი ოთა პარტიული კრების მსჯელობის საგნადაც ვაქციეთ. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ეს საახლო და კომუნისტების მაგალითისამებრ იქვე გადდებული ვალდებულებები იკისრეს...

გასული, საიუბილეო წლის დასაწყისიდანვე მეურნეობის მინდვრებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის. მშრომელებმა გულმოდგინედ მოჭიდეს საქმეს ხელი, დაწყებული თესვიდან მოსავლის აღებამდე ყველა აგროტექნიკური ღონისძიება დროულად და მაღალხარისხოვნად ჩაატარეს. პარტიული კომიტეტი გზადაგზა ამოწმებდა, რომ ამ საქმეში ფორმალიზმს არ ეჩინა თავი. და აი შედეგი: გასული წლის მეურნეობაში მნიშვნელოვნად გადიდდა ჯარმოდელს, ბოსტნეულს, საკვები ძირხვენების და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშუალო ჰექტარობრივი მოსავალთანაბა. მემინდვრეობისა და მებოსტნეობის ბევრ სახეობაში გადაჭარბებით შეასრულეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა-დავალებები.

განსაკუთრებით ცსახლეს თავი წახნის აგრონომებს (ბრომელებმა, რომელთაც კომუნისტი ა. კონსტანტინოვი ხელმძღვანელობს. ამ უბნიდან ჭიქინეთის ბრიგადამ 14 ჰექტარი ნათესის თითოეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 140 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ 181 ცენტნერი კარტოფილი მოიწია. ბრიგადის მეკარტოფილეებმა პრემიის სახით 540 ცენტნერამდე კარტოფილი მიიღეს. უხვი მოსავლისათვის ყველაზე მეტი პრემიული ანაზღაურება კი შ. გაბდავას და რ. ღვინტიძის ერჯოთ — თითოეულს 35-40 ცენტნერი.

მატერიალური წახალისების ამ ახალმა ფორმამ პირუტყვისათვის საკვების დამზადების საქმეშიც შეგვიწყო ხელი. თავად განსაჯეთ. თუ წინათ გვიჭირდა საკმარისი ოდენობის საკვების დამზადება და მისი შეძენა რაიონისა და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გვიხდებოდა, შარშან. ჩვენს მეურნეობაში გეგმით გათვალისწინებული 4500 ტონის ნაცვლად 8225 ტონა უხეში საკვები დავამზადეთ. ეს კი ნიშნავს, რომ ერთი პირობითი სული მსხვილფეხა პირუტყვის გამოზამთრებისათვის მეურნეობაში გეგმით გათვალისწინებული 16 საკვები ერთეულის ნაცვლად 19 საკვები ერთეულია დამზადებული. ამასთან მუშა-მოსამსახურეებმაც, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საკვების დამზადებაში, თავიანთ პირად დამხმარე ეეურნეობაში აღსებული პირუტყვისთვისაც საკმარისი რაოდენობის საკვები მიიღეს პრემიის სახით.

ერთი სიტყვით, წარმატების თავი და თავი კი ის არის, რომ მატერიალური წახალისების საკითხზე ჩვენს მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას ყოველდღიური კონტროლი და შემოწმება არ დაკაკლია.

საერთოდ, რეალური დადგენილება რომ მივიღოთ, აუცილებელია კომუნისტთა კოლექტიური აზრი. ეს აზრი ჩაქსოვილია ჩვენს პერსპექტიულ გეგმებში. პერსპექტიული გეგმები შედგენილი აქვთ საუბნო პარტორგანიზაციებსაც. ვცდილობთ, რომ ისინი რაც შეიძლება კარგად გამიზნული, ცხოვრებისეული და რეალური იყოს. რა თქმა უნდა, მათში შეტანილი გვაქვს მთელი წლის მანძილზე განსახილველი საკითხებიც, მაგრამ აქ შეგნებული ვტოვებთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დერეფანს“ იმ საკითხებისათვის, რომლებსაც მუშაობის პროცესში თვით ცხოვრება წამოჭრის და რომელთა სასწრაფოდ განხილვა აუცილებელია. ასეთი რამ კი ხშირად ხდება.

ასე მაგალითად, გასული წლის სამუშაო გეგმაში თავდაპირველად რატომღაც არ გვქონდა გათვალისწინებული სასოფლო კლუბების მუშაობის საკითხი. მაგრამ საუბნო პარტიული ორგანიზაციების კრებებზე კომუნისტების მიერ გამოთქმული კრიტიკული გადაწყვეტილებათა მიხედვით“. კონფერენცია მოაწყეს საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიონულმა კომიტეტმა და თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრამ. იგი ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავისა და სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას მიეძღვნა.

გ. სიხარულიძე.

გაუმჯობესდა ტელეგადაცემების ხარისხი

ტყიბული. (საკ. კორ.). საახალწლოდ კარგი საჩუქარი მოემზადა რესპუბლიკის ტელეცენტრმა ცისფერი ეკრანის მოყვარულებს. მწყობრში ჩადგა ახალი სატელევიზიო კომპლექსი. იგი შედგება 55-მეტრიანი ტელეანძისაგან, ორი ფერადი სატელევიზიო გადამცემი სადგურისა და ახალი ტიპის სარელეო ხაზის აპარატურისაგან.

ახალმა სატელევიზიო კომპლექსმა მკვეთრად გაუმჯობესა ტელეგადაცემების ხარისხი ორგორც ტყიბულის ზონის მთიან სოფლებში, ისე მეზობელი, ამბროლაურისა და ონის რაიონებში.

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა წარმატებით შეასრულა გასული წლის დავალება.

ამჟამად ზუგდიდის საწარმოების კოლექტივთა ჯოწოდებით გაერთიანების მოწინავე მუშაობა გადაწყვეტილ ხარ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წლისთავისათვის ბუთწლედის სამი წლის გეგმის შესრულება უკვე ეკონომიკა

ერთ-ერთი პირველნი საპატიო შრომით ვახტზე დადგნენ ფეიქრები მარგალიტა ხმიადაშვილი და მისი ქალიშვილი ციცინო.

კომუნისტი მარგალიტა ხმიადაშვილი წარმოების ვეტერანია, მრავალგზის გაუმარჯვნია სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კომკავშირელი ციცინო ხმიადაშვილი კომუნისტური შრომის დამკვრელია.

სურათზე: მოწინავე ფეიქრები მარგალიტა ხმიადაშვილი (მარჯვნივ) და მისი ქალიშვილი ციცინო.

მწყობრშია ახალი ქარხანა

სოხუმის გარეუბანში მწყობრში ჩადგა და პირველი პროდუქცია გამოუშვა აქ მშენებარე საბლოსაშენებელი კომბინატის ბეტონის ხსნარის მექანიზებულმა ქარხანამ. მისი სიმძლავრე 900 კუბური მეტრია დღე-ღამეში. მომდინარე წლის დამლევისათვის, როცა ამოქმედდება ინდუსტრიული სახლთმშენებლობის მთელი სამრეწველო კომპლექსი, ქარხნის სადღეღამისო სიმძლავრე კიდევ 200 კუბური მეტრი ბეტონით გაიზრდება. (საქინფორმი).

□

მეცნიერები მსჯელობენ

პარტიის ჩოხატაურის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია თემაზე „ფინანსურ-საკრედიტო პრობლემები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“. კონფერენცია მოაწყეს საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიონულმა კომიტეტმა და თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრამ. იგი ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავისა და სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას მიეძღვნა.

გ. ნოდია,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მომსახურეებად? პირველობისა

როგორია იგი

ლამაზი, გაქთქათებული შენობა, სადარბაზო კარებთან გაკოფილი აბრა „წარწერით „ეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, გაკრალებული დერეფნები, ღიმილიანი მასპინძლები და სხვა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალიც კი, სასიამოვნოს რომ ხდის თქვენთვის შენობაში შესვლას. თავაზიანი დახვედრა, ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი და... კმაყოფილების ღიმილი, იქიდან გამოსულს სახეზე რომ დაგთამაშებთ... ალბათ დაბლოვნები ამ ადგილ უნდა იყოს „სტუმარ-მასპინძლობა“ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში...

საყოფაცხოვრებო მომსახურება! რაოდენ მასშტაბურად ეღერს ეს სიტყვები და რაოდენ ვრცელია მათი მოქმედების არე, პერსპექტივები. საერთოდ, რამდენი სახეობის მომსახურება არის საჭირო? ალბათ იმდენი, რამდენიც ადამიანს სჭირდება. ჩვენი ხალხის „ეთილდღეობის განუხრელი ზრდის „ვალობაზე კი მნიშვნელოვნად იზრდება მისი მოთხოვნილებებიც და შესაბამისად საყოფაცხოვრებო მომსახურების როლიც, მაგრამ...

განა ცოტას ვინახავთ გაუჭიანურებულ-შემჭარტლული, მთვაშჩამონგრეული, მინებაჩამტვრეული საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სადაც მხოლოდ რამდენიმე სახეობის მომსახურებაა, ან ხელოსანი, რომელიც ამ „სასახლეში“ ზას და სრულებითაც არ თვლის მას თავისად?

ამ მხრივ გამონაკლისი, სამწუხაროდ, არც წითელწყაროს რაიონია.

ერთ დროს სასოფლო საბჭოებმა, კოლმეურნეობებმა კარგი დაამარება გაუწიეს საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის მუშაკებს, აუშენეს და ესესაყიდლოდ გადასცეს შენობა-ნაგებობები, შეიძინეს მათთვის საჭირო ინვენტარი, მანქანა-დანადგარები. საქმეც კარგად იყო. მაგრამ მას შემდეგ, რომ ოტყვიან, ბეერმა წყალმა ჩაიარა და ინიციატორებმაც დაიკარგნენ ყველანი... ამჟამად იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ ამ შენობებს შეკეთება და შელამაზება სჭირდება. ასეთ მდგომარეობას კიდევ ერთ-ორმე მოითმენდა კაცი. უბედურება ის არის, რომ ბევრი შენობა მეტად ავარიულ მდგომარეობაშია და შეიძლება ჩამოინგრეს კიდეც. ამიტომაც საჭიროა გადაუდებელი პრაქტიკული ღონისძიებები, მაგრამ... სოფლების: ზემო მაჩხაანის, არბოშიკის, ქვემო ქედის, გამარჯვების კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა ხომ კარგად იციან, რომ რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს საამისო სახსრები არა გააჩნია? მაშ ვის ან რას ელოდებიან ისინი?!..

ამიტომაც არის, რომ შემთხვევიდან შემთხვევამდე სრულდება საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმა-დავალებანი. ეს მდგომარეობა სხვადასხვა. როგორც სოციალური, ისე ობიექტური მიზეზებით არის გამოწვეული. მაგალითად, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ნაკლებად საქმეები ამარაგებს ამ ორგანიზაციებს ისეთი აუცილებელი მასალებით, როგორიც არის სხვადასხვა სახეობის რკინა, ტყავ-ნედლეული, ქსოვილები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა, რომელმაც ორმად და საფუძვლიანად განიხილა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხი, ხაზი გაუსვა ამ სფეროს მუშაკთა კულტურული და კვალიფიციური აღზრდის ამოცანებს. როგორც ჩანს, ამ პლენუმის სახელმძღვანელო მითითებებიდან მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ ვაკეთეს სათანადო დასკვნები. მაგალითად, წითელწყაროს რაიონში საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების 164 მუშაკიდან თითქმის ნახევარს დაბალი განათლება აქვს, საშუალო-სპეციალური კი მხოლოდ ათს. ისიც გვიდნერეს, რომ სათანადო დებულების უქონლობის გამო ზოგიერთი მუშაკი ჯერ ერკვევა თავის უფლება-მოვალეობაში, შრომის აღრიცხვა და ანაზღაურება ხდება ვარაუდით, სტიქიურად, რაც შრომის ნაყოფიერებაზე, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს. ადერების შერჩევისა და აღზრდის საქმეში მათ სათანადოდ არ ეხმარებიან ადგილობრივი საბჭოები. სკოლები. ძალზე ნელი ტემპით, ზოგან კი სულ არ ინერგება მუშაობის ახალი, პროგრესული ფორმები და მეთოდები, მოწინავე გამოცდილება, მომსახურების ახალი სახეობანი, თანამედროვე ტექნიკა, მანქანა-დანადგარები.

მოშლილია შრომის ორგანიზაცია, მოისესხეტის დისციპლინა, საქმე თვითდინებაზეა მიშვებული. ცალკეულ ობიექტებზე ხელოსნები სათანადო აღრიცხვა-ანგარიშგების გარეშე, თვითნებურად მუშაობენ. მაგალითად, შემოწმების დღისათვის ტანსაცმლის მკერავები ა. აბრამოვი, ა. ბაღდასარიანი, შემდეგლებელი შ. ყოჩიაშვილი და სხვები დაკვეთებს უქვითრად ასრულებდნენ, დირექციიმ კი მათ მხოლოდ მითითება აძარა.

საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა ერთ ნაწილში ეკონომისკოფლოური ტენდენციები ამითაც არის გამოწვეული, რომ ბევრი ხელოსანი სოფლად — კალატოზი, მეთუნეები თუ ხეზე-დურგალი მუშაობს „ერთდულ, პირადი გამორჩენის მიზნით. ამას კი „ყურადღებას ანავინ აქცევს, არავინ იბრძვის ასეთი უარყოფითი მოვლენის აღსაკვეთად.

სამწუხაროდ, ამ ნაკლოვანებების, დარღვევების გამოსწორებისათვის სათანადოდ არ იბრძვიან სისტემის კომფესტები, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის. კომუნისტური შრომის პირად მაგალითებს ვერ აძლევენ თანამოსაქმეებს. თუმცა აბა რომელ პირად მაგალითზე შეიძლება ლაპარაკი, როცა წარმოებაში დასაქმებულ კომუნისტთა თითქმის ნახევარი, (მ. ყაჭაშვილი, ნ. სხვიტარიძე, მ. ალადაშვილი) საწარმოო დავალებებს ვერ ასრულებენ.

ხშირად გაიგონებთ მოსახლეობის სამართლიან საყვედურებს ამის შესახებ, რომ არც რაიონულ ცენტრში და არც სოფლად არ არის მანქანების რეცხვისა და შეზეთვის, საკარმიდამო ნაგებობისა და ხეზილის ავტოტექნიკური მომსახურება. ამ საკითხის მოგვარებას კი, რაკი სთვისაც სრულიად არ არის საჭირო რთული პროექტები და დიდძალი თანხები, დღემდე ხაშელი არ დადგა.

ამ და სხვა დარღვევებზე, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე, ხელშემშლელ მიზეზებზე კომბინატის კომუნისტებმა კონკრეტულად და პრინციპულად ილაპარაკეს ამ რამდენიმე ხნის წინათ თავიანთი პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებებზეც, მაგრამ, როგორ, გასაკვირადაც უნდა მოგეჩვენოთ, ამაზე არაფერი თქმულა კრების მიერ მიღებულ დადგენილებაში, არც რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს აკნობეს რაიმე თავიანთ კრიტიკულ შენიშვნებზე, სწორედ ამაზეა ნათქვამი, „ამორან გულში ეღეროდაო“.

ისე კი რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებს მართლა აკლიათ დახმარების ხელი. მაგრამ მათს მოთხოვნილებებს და საჭიროებებს მუდამ არ ეკიდებიან ყურადღებით.

— რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, — თქვა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გ. ციხკარაულმა, — ჩვენს მოთხოვნებსა და წერილებს საქმიანად არ ეხმაურება, ზოგადი, მშრალი პასუხითღა კმაყოფილდება. ალბათ მოვალეობის მოხდის მიზნით... ჩვენს მიმართ დიდი მოთხოვნილება აქვთ, მაგრამ თუ რაიმეზე შეიაწუხე და რამე მოითხოვე, არაფერი ვიცით, როგორც ვინდათ, ისე გააკეთეთ ადგილზე ყველაფერიო, გვეუბნებიან... როგორც ეტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

დიახ, მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა. რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებების მუშაობაში ბევრი ნაკლი და ხარვეზია, რომელთა გამოსწორებისათვის მარტო კონტროლი და მითითებები არ კმარა. საჭიროა, რომ სამინისტრომ, რაიკომმა, აღმასკომმა, სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა საქმიანი, ქმედითი დახმარება გაუწიონ ამ სფეროს მუშაკებს, რათა მათ შეძლონ იმ დიდი და პასუხსაგები ამოცანების შესრულება, რომლებიც ამ დარგის წინაშე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა დააყენა.

ვლ. მჟელდიშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

აზდენილი ოცნება

ინჟინრის ჩანაფიქრებიდან

ასეთი რთული საკითხის ასე მარტივად გადაწყვეტა? დიდებულია, მაგრამ დაეჭვერებელი, თითქოს თავის თავს ეკამათებოდა მოულოდნელი აღმოჩენით გიორგი ვეფხვიშვილი ენერგეტიკული ინსტიტუტის პროფესორი ა. გლაზუნოვი.

ამ რთული საკითხის ასე მარტივად გადაწყვეტის იერარი კი თავდახრილი ჩუმად იდგა პროფესორის წინ.

— ჰმ. მარტივად გადაწყვეტა... გამოსცარა მან, თავი ასწია, უნდოდა ეთქვა, თუ როგორ ეწამა წლების მანძილზე ამ სამარტივეზე რომ მისულიყო, რამდენი ღამე ათია ფიქრსა და ძიებაში, მაგრამ დუმილი არჩია. პროფესორის ვაბრწყინებული თვალებიდან ჩანდა, რომ იგი არად აგდებდა მის სიტყვაძოწყობას. მისთვის თითქოს ყვავილფერი ნათელი იყო, მაგრამ მაინც ეჭვი ეპარებოდა.

რა იყო ეს „რთული“ საკითხი და ვინ გადაწყვიტა იგი?

...ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყებამდი საქართველოს სახალხო მეურნეობა ელექტროენერგიის დეფიციტს განიცდიდა. ომის პირველივე მთ ფურო ძნელი გახდა ელექტროენერგიის ხარჯვის შეზღუდვის გრაფიკების დაცვა.

და აი, დადგა 1947 წლის 31 დეკემბერი. ამშვიდა ხრამის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატი. მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი და დიდობის ქვისადგური. ზეიმობდნენ საქართველოს ენერგეტიკოსები. მათ ათაეს ინჟინერი, ყველაზე მაღალდაწყვეტილი ჰესი მსოფლიოში. პირველი მარეგულირებელი ჰესი საქართველოს ენერგოსისტემაში და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი ლიფთნის საყრდენებზე „ხრამჰეს-თბილისი“, რომლის ტრასა თავისი რელიეფური და კლიმატური პირობებით საქართველოს ენერგოსისტემაში ფერმაში ფერმაზე ორ ფერ ფერ ფერ ... ...

რევოლუციური აღზრდის კერა



ავლაბრის არალეგალური მემორიალური სტამბა-მუზეუმის მე-40 წლისთავისათვის

ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე რესტავრირებულ იქნა ავლაბრის არალეგალური სტამბა და გაიხსნა სტამბა-მუზეუმი, ამ ორმოცი წლის მანძილზე იგი დაათვალიერა 4 მილიონამდე კაცმა. ხოლო შარშან სტამბა-მუზეუმში იყო 225.749 ექსკურსანტი, მათ შორის — 2.476 უცხოელი. ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელსაც მხოფლიოს ყველა კუთხის წარმომადგენელში აღძრავს ეს უნიკალური რევოლუციური ძეგლი.

არალეგალური სტამბა ამუშავდა 1903 წელს, რევოლუციური აღმავლობის პერიოდში და იმ ორნახევარი წლის განმავლობაში, ვიდრე მეფის ოხრანკის აგენტები მას აღმოაჩენდნენ, უდიდესი როლი შეასრულა არალეგალური რევოლუციური ლიტერატურის გამოცემის საქმეში. სტამბაში იბეჭდებოდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ და „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“ (ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე), აქ დაისტამბა პარტიის მეორე ყრილობის მიერ მიღებული „რსდმპ პროგრამა“, მესამე ყრილობაზე მიღებული „რსდმპ წესდება“ და რაც მთავარია 3.000 ეგზემპლარის რაოდენობით პირველად დაიბეჭდა ქართულად ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ნაშრომი „სოფლის ღარიბებს“. შემდეგ ამას მოჰყვა ვ. ი. ლენინის სხვა ნაშრომებიც: „პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა“, „ცნობა მესამე კრებაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა“ და სხვ. ავლაბრის სტამბაში დაიბეჭდა აგრეთვე ი. ბ. სტალინის ნაშრომები „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, „პასუხად სოციალ-დემოკრატს“, „ორი შეჯახება“ და ა. შ.

თუ რა ინტენსიურ საქმიანობას ეწეოდნენ სტამბაში რევოლუციონერები, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მარტო 1905 წლის იანვრიდან ნოემბრამდე დაბეჭდეს 274.315 ეგზემპლარი გაზეთი, ბროშურა, პროკლამაცია და სხვა მასალები. ეს არალეგალური ბოლშევიკური ლიტერატურა ფართოდ ვრცელდებოდა როგორც კავკასიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი მშრომელ ადამიანებს მოუწოდებდა ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, აცნობდა მარქსისტულ-ლენინურ იდეებს და ბიძგს აძლევდა რევოლუციურ საქმიანობაში მონაწილეობისათვის. ამრიგად ავლაბრის არალეგალურ სტამბას უდიდესი წვლილი შექმნილა სოციალისტური რევოლუციისათვის ფართო მასების მომზადებაში.

როცა ვლაპარაკობთ არალეგალური სტამბის დიდ დამსახურებაზე პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების საქმეში, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ადამიანებს, რომელთა სახელი უშუალოდ უკავშირდება სტამბას, არალეგალური ლიტერატურის გამოცემასა და გავრცელებას.

როგორც ცნობილია, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ ი. სტალინი, ა. წულუკიძე, ბ. ჯაფარიძე, მ. ცხაკაია, ვ. ბობროვსკი, ფ. მახარაძე, ს. შუმიანი, მ. ბოჭორიძე, ბ. კნუნიანცი და სხვები, სტამბის მოწყობა უშუალოდ დაავალა მიხო ბოჭორიძეს. მან ქალაქის განაპირა უბანში — ავლაბარში შეარჩია ადგილი სტამბის შენობის აგებისათვის. მშენებლობა მიეცა რევოლუციონერ მუშებს ალექსანდრე, ნიკო და ვანო ჩოდრიშვილებს, მირიმან და თედო მაღრაძეებს.

შემუშავებულ იქნა კონსპირაციის ამქამად ცნობილი გეგმა და საიდუმლო სარდაფში მოაწყვეს სტამბა, სადაც სხვადასხვა დროს მბეჭდავებად მუშაობდნენ გ. ლეონიძე, ე. კალანდაძე, ტ. ვახტანგოვი, ვ. წულაძე, მაკარ და მანასე გოგუაძეები. დაბეჭდილ პროკლამაციებს, ბროშურებს, გაზეთებსა და სხვა მასალებს ავრცელებდნენ კამი (ს. ტერ-პეტროსიანი), ბ. ბოჭორიძე-ჩიტიშვილი, ე. ლომინაძე, მ. კვარაცხელია, მ. მირიქიანცი და სხვები.

ავლაბრის სტამბა-მუზეუმი ამჟამად ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის განყოფილებაა. იგი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებში, ჟამბეჟებსა და ქალიშვილებს შორის რევოლუციური ტრადიციების პოპულარიზაციისათვის. მუზეუმში იმართება ინტერნაციონალური და კითხვა-პასუხის საღამოები, თემატიკური კონფერენციები, აქ ხშირად იწვევენ პარტიის და კომკავშირის ვეტერანებს, სამოქალაქო და სამამული ომის მონაწილეებს, შრომაში წარჩინებულ ადამიანებს, რომლებსაც ხვდებიან საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ავლაბრის სტამბა-მუზეუმში ეწყობა ხოლმე ოქტომბრელთა და პიონერთა ორგანიზაციებში, ლენინური კომკავშირის რიგებში საზეიმოდ მიღება. მუზეუმის მუშაკები ფაბრიკა-ქარხნებს, სკოლებს და სხვა დაწესებულებებს ხშირი სტუმრები არიან და კითხულობენ ლექციებ-მოხსენებებს, აწყობენ ლექტორის დღეებს, მართავენ ზეპირ ჟურნალებს და ა. შ.

ეს საქმიანობა ჯეროვნად არის შეფასებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის მემორიალური მუზეუმის მე-40 წლისთავის საზეიმო აღნიშვნის შესახებ. კერძოდ ამ დოკუმენტში ნათქვამია: **„მუზეუმი გახდა მნიშვნელოვანი კერა ახალგაზრდობის აღზრდისათვის საბჭოთა ხალხის სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებზე, რევოლუციონერ ლენინელთა მაგალითზე, რომლებმაც საუკუნის დამდეგს შექმნეს მძლავრი პოლიგრაფიული ბაზა ვ. ი. ლენინის შრომების, არალეგალური გაზეთების, რევოლუციური ფურცლებისა და პროკლამაციების ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე დასაბეჭდად“.** რევოლუციური კონსპირაციის ამ შესანიშნავ ძეგლს ახლაც დიდი სარგებლობა მოაქვს კომუნისტური სულისკვეთებით რევოლუციურ ტრადიციებზე მასების აღზრდის საქმეში.

მე, როგორც ძველ რევოლუციონერ ასოთამწყობს მეამაყება, რომ ბედნიერი შთამომავლობა ღირსეულად აფასებს დიდ წინაპართა სახელოვან საქმეებს. ამის მაგალითია სწორედ ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების ზრუნვა ავლაბრის არალეგალური სტამბის მოღვაწეთა უკვდავსაყოფად.

დ. ლომაძე,
სკკპ წევრი 1917 წლიდან.

მთავარი გმირი— ჩვენი თანამედროვე

საქართველოს მხატვართა კავშირის პლენუმი

გაიმართა საქართველოს მხატვართა კავშირის პლენუმი, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის შედეგები და ამასთან დაკავშირებით საქართველოს მხატვართა კავშირის ამოცანები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ პროფესორმა ნ. ჯანბერიძემ.

განხილვაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრები თ. ღვინიაშვილი, გ. ფირცხალავა, მ. თალაკვაძე, რ. შეროზია, გ. ქუთათელაძე, ე. კალანდაძე, მ. ყიფიანი, ი. გორდელაძე, მხატვრები ა. კოპალიანი, რ. თორდია, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ციციშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე თ. ფერაძე.

პლენუმზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს საქართველოს სახვითმა ხელოვნებამ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. შემოქმედებითი ძიება, საბჭოთა ადამიანების შრომითი დღეების ასახვა, ჩვენი თანამედროვის სახელოვანი საქმეების ყველაზე სრულად ამსახველი ნაწარმოებების შექმნა ფუნჯისა და საჭრეთლის თითოეული ოსტატის წმიდათაწმიდა საქმე გახდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამ პლენუმზე წარმოთქმულმა სიტყვამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის დოკუმენტებმა, აღინიშნა პლენუმზე, მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომას ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე, დასახეს ამოცანა, რომ ხუთწლედის მესამე წელს მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ყოველივე ეს ახალ მოთხოვნებს უყენებს მხატვრებს.

მიმდინარე წელს თვალსაჩინო ქართველი მხატვრები შემოქმედებითი მივლინებებით მეწვევიან მეათე ხუთწლედის მშენებლობებს, ფაბრიკებს, ქარხნებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ისინი შექმნიან ხუთწლედის გმირთა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეთა პორტრეტების გალერეას. დასახულია მოეწყოს კონკურსი შრომის თემაზე საუკეთესო ნაწარმოების შექმნისათვის.

კიდევ უფრო განვითარდება ქართველ მხატვართა საშეფო მუშაობა.

პლენუმმა საქართველოს მხატვართა კავშირის სამდივნოსა და რესპუბლიკის სამხატვრო ფონდის გამგეობას დაავალა მკაცრი კონტროლი დაუწესონ სამხატვრო-საწარმოო კომბინატებისა და სამხატვრო სახელოსნოების საქმიანობას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პროდუქციის ხარისხს და ა. შ.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივნის მოვალეობისაგან განთავისუფლებულია გ. ა. გულაშვილი. საქართველოს მხატვართა კავშირის მდივნად არჩეულია რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი დ. გ. თაყაიშვილი. (საქინფორმი).

საკდესი იტყობინება

მსოფლიოს ამბები

საბჭოთა ინიციატივის მაღალი შეფასება

ნიუ-იორკი, 6 იანვარი. (საკდესი). მსოფლიო საზოგადოებრიობა ფართოდ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრმა სახელმწიფოებმა 10 პროცენტით შეამცირონ ხამხედრო ბიუჯეტები და დაზოგილი სახსრების ნაწილი გამოიყენონ განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გასაწევად. ამას მოწმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მიერ მომზადებული სპეციალური გამოკვლევა. იგი განსახილველად წარუდგინეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესიის მოწვევის მოსამზადებელ კომიტეტს, რაც 1978 წლის 23 მაისს გაიმართება ნიუ-იორკში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს სპეციალური გამოკვლევა

□

სსრ კავშირის ინიციატივაც, აღნიშნულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოკვლევაში, „კონკრეტულად დაუკავშირა განიარაღება განვითარებას“, წამოაყენა სამხედრო ხარჯების შემცირების რეალური გზა. სამხედრო ბიუჯეტების შემცირება, რომელიც მნიშვნელობის განმტკიცების გზაზე წინგადადგმული ნაბიჯია, ამავე დროს გაათავისუფლებს სახსრებს ეკონომიკური და სოციალური მიზნებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პონაცემებით, სამხედრო ხარჯები მსოფლიოში ახლა რეკორდულ თანხას — თითქმის 350 მილიარდ დოლარს აღწევს წელიწადში. ამჟამად სამხედრო ხარჯები, აღნიშნავენ ავტორები, ფაქტიურად 2,5-ჯერ აღემატება ყველა სახელმწიფოს ჯანმრთელობის დაცვისათვის გაღებულ ხარჯებს და ერთნახევარჯერ — განათლებისათვის გამოყოფილ სახსრებს. ამავე დროს ახლა სამხედრო საჭიროებებისათვის დახარჯული სახსრების დაახლოებით 1 პროცენტის გამოყოფა განვითარების მიზნით დახმარებისათვის შესაძლებლობას მოგვცემდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხაზით სულ ცოტა ორი მილიარდი დოლარი მოგვეხმარებინა განვითარებადი ქვეყნების დამატებითი დახმარებისათვის.

ახლო აღმოსავლეთი

პარაბები სეპარატული მოლაპარაკების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 6 იანვარი. (საკდესი). ის, რაც ახლა ახლო აღმოსავლეთში ხდება, ეს არა მშვიდობის, არამედ კაპიტულაციის გზაა. სირია არასოდეს არ მიუჯდება მაგიდას, სადაც არაბთა და პალესტინელთა უფლებებს ყიდიან, განაცხადა სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდელ ჰალიმ ხადამმა ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაციასთან შეხვედრაზე, რომელიც დამასკოში ვიზიტად იმყოფება.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის კორესპონდენტი აღნიშნავს, ა. ხადამმა გამოთქვა რწმენა, რომ ეგვიპტის პრეზიდენტის სადათის ეგრეთწოდებული „ინიციატივა“, რომელსაც „ფაქტიურად მოჰყავ ყველა სამშვიდობო ღონისძიებისათვის „ძირის გამოთხრა“, ჩაიფუშება. სირია, თქვა მან, მოითხოვს ყოველისმომცველ მოწესრიგებას ახლო აღმოსავლეთში და მშვიდობას, რომელსაც საფუძვლად დაედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციები. როგორც ცნობილია, ეს რეზოლუციები ითვალისწინებენ იმას, რომ ისრაელმა მთლიანად დატოვოს დაპყრობილი არაბული მიწები და პალესტინის არაბი ხალხის უფლებების აღდგენას.

ბეირუთი, 6 იანვარი. (საკდესი). ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ნებისმიერი მოწესრიგება, რომელიც არ შეესაბამება არაბი ხალხების ინტერესებსა და მისწრაფებებს, განაცხადა ლიბანის პრემიერ-მინისტრმა ს. ჰოსმა, ვერ დაამყარებს ნამდვილ და სამართლიან მშვიდობას ახლო აღმოსავლეთში. მან თქვა, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტა პალესტინელთა ხარჯზე არ უნდა მოხდეს.

ბეირუთი, 6 იანვარი. (საკდესი). სადათის ცდები, რომ დაიკნინოს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის, როგორც პალესტინის არაბი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენლის, როლი, ისრაელის მიერ ოკუპირებულ დღინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის მცხოვრებთა აღშფოთებასა და პროტესტებს იწვევს.

ამ რაიონის ქალაქების მერების ჯგუფმა დაგზო გეგმები, რომლებიც მიზნად ისახავენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ჩამოცილებას ახლო აღმოსავლეთის პრობლემების გადაწყვეტისაგან. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, — აღნიშნეს მათ, — ჩვენი ხალხის ერთადერთი წარმომადგენელია როგორც ამ რაიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ისრაელი ხელისუფლები, რომლებიც ურცხვად ირწმუნებიან, ბეგინსა და სადათს შორის სეპარატული გარიგება მშვიდობის საწინდარიაო, აძლიერებენ რეპრესიებს მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე მცხოვრები არაბი მოსახლეობის წინააღმდეგ. ქალაქების ქუჩებში სამხედრო და პოლიციური პატრულები აწყობენ ჩხრეკას, არბევენ და ანადგურებენ მშვიდობიან მცხოვრებლებს.

სურათზე: ისრაელი პატრული ამოწმებს დოკუმენტებს ბეთლემის შესასვლელთან.

აპ-სკკდესის ფოტო.

უცხოელი მწერლები „კომუნისტის“ ფურცლებზე

აჯომური ურჩხული

ნეიტრონული ბომბის „მორალი“ ამერიკულად

როგორც ლონდონის „ტაიმსი“ წერს, ნატოს ევროპის ზონაში ამჟამად „ტაქტიკური ატომური იარაღის შვიდი ათასი ერთეულია განლაგებული“. წარსულში ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეები ამტკიცებდნენ, ამ იარაღის გამოყენება შეუძლებელია მისი საშინელი დამანგრეველი ძალის გამო, რომელიც ერთნაირად სპობს როგორც მტერს, ისე მეგობრებსო. ვარაუდობდნენ, რომ არსებობს „სიფრთხილის“ რაღაც შინაგანი ფაქტორი, რომელიც ნაკლებად შესაძლებელს ხდის ატომური იარაღის „გამოყენებას, ვინაიდან ყველასათვის ნათელია ასეთი ნაბიჯის კატასტროფული შედეგები.

ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში იქნება ახალი „ტაქტიკური“ იარაღი — ნეიტრონული ბომბი, რომელიც ყოველგვარ ცოცხალ არსებას სპობს და უფრებლად ტოვებს უძრავ ქონებას. მას სამართლიანად შეიძლება ატომური ურჩხული ეწოდოთ. ამერიკელი პოლიტიკოსები სულმოუთქმელად ლაპარაკობენ ამ ურჩხულზე. და ყველა მათი გამონათქვამი საბოლოო ანგარიშით ერთ აზრს გამოხატავს, რომ თითქოს მისი წყალობით ომი ევროპაში არც ისეთი დამანგრეველი და საშინელი იქნება. მათ სურთ შთაგვაგონონ, რომ ასეთი იარაღის გამოყენებით „მცირე ტაქტიკური ატომური ომი სულაც არ იქნება ჩვეულებრივზე უფრო საშიში“. მათ სურთ გვიჯარებინონ, რომ ადამიანთა მასობრივი მოსპობის ეს იარაღი არაფრით არ განსხვავდება... ტყვიამფრქვევის ან თუნდაც ჩვეულებრივი თოფისაგან.

ჩვენ გვთავაზობენ დავივიწყოთ ჰიროსიმა და ნაგასაკი, არ ვიფიქროთ იმ საშიშროებაზე, რომელიც „შვენიერი პატარა ბომბის“ სახით კაცობრიობას ემუქრება. ჩვენ გვთავაზობენ ევროპის ბედ-იღბალი ხელში ჩავუგდოთ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ ყველაზე ბარბაროსული იარაღი, რაც კი ოდესმე შექმნილა, უბრალო „ჩვეულებრივი იარაღის ახალ სახეობად“ გაასაღონ.

მაგრამ უფრო საშიშია არა თვით იარაღი, არამედ მისი შემქმნელი ადამიანები, ისინი, ვისაც სურს ამ იარაღით თავისი არსებობის გაფართოება, ისინი, ვინც მისი წარმოების ნებას რთავს და ხმამაღლა აცხადებს, ევროპის „შიშიროება მხოლოდ ამ „კაცისმჯყლეფელია“ დამოკიდებულიო, როგორც ნეიტრონულ ბომბს გაზეთმა „გარდიანმა“ უწოდა.

ახალი იარაღის თაობაზე ბევრს წერს ბრიტანეთის პრესა. აი, მაგალითად, რას წერს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი რეჯინალდ მოდლინგი (იგი გადააყენეს დაძაბულობის შენელების პოლიტიკისადმი გადამიტებული მიდრეკილებისათვის) „ტაიმსში“ დაბეჭდილ წერილში: „განა თვით კონცეფცია ამ იარაღისა, რომელიც ყოველგვარი ცოცხალი არსების მოსასპობად და უსულო საგანთა გადასარჩენად არის გათვალისწინებული, უდიდესი შეურაცხყოფა არ არის, როგორიც კი შეუძლია ადამიანს კაცობრობას შეაყენოს?“

კომპოზიტორმა და სახელგანთქმულმა ბენჯამინ ბრიტენის ახლო მეგობარმა მაიკლ ტიპეტმა სინანულით განაცხადა, მართალია, პრეზიდენტ კარტერს თავი ქრისტიანად მოაქვს და ადამიანის უფლებებისა სჯერა, მაგრამ ამას სულაც არ შეუშლია მისთვის ხელი აშკარად გამოსულიყო საზარელი ბომბის დასაცავად. ტიპეტმა აშკარად და მწვავედ გამოხატა თავისი დამოკიდებულება პრეზიდენტის ასეთი პოზიციისადმი.

ეს იარაღი არსებითად ხორცს ასხამს კაპიტალისტთა საუკუნოვან ოცნებას: ადამიანთა სიცოცხლის ხარჯზე შეინარჩუნონ მათ აინტერესებთ ქარხნები და ფაბრიკები, შახტები, რკინიგზები, ნავთობგადამამუშავებელი დანადგარები, ბანკები, მაღაზიები. სურთ, რომ სწორედ ეს ყენი დარჩეს ხელუხლებელი. აი რას ნიშნავს მათთვის ნეიტრონული ბომბის „უდიდესი მორალი!“

ჩვენ დასავლეთში სხვა ეთიკური ნორმების მქონე საზოგადოებაში ვცხოვრობთ, ვიდრე სოციალისტური ქვეყნების ხალხები. ჩვენ ძალადობისა და სასესტიკის საზოგადოებაში ვცხოვრობთ. ღმერთმა უწყის, რამდენი მკვლელობა ხდება ყოველდღე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ინგლისში ჩვენ უკვე დიდი ხანია იმის მოწმენი ვართ, თუ როგორი რეპრესიები და ტერორი მძვინვარეს ჩრდილოეთ ირლანდიაში, ხოლო ლონდონის ქუჩებში როგორ დათარეშობენ მოფაშისტო ირმაზადები, რომლებსაც ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების დაცვის საბაბით პოლიცია მფარველობს.

დასავლეთის საზოგადოებრიობა სავულდაგულოდ იცავს თვით რეაქციული ელემენტების რასისტებად და ფაშისტებად ყოფნის უფლებას. იგი „აცილებრიობის მიერ განიცდილ „ბესმერიანის“ ხელმძღვანელების ხსოვნასაც კი იცავს.

და ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ არ შეიძლება ნეიტრონული ბომბი ხელში ჩავუგდოთ პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და ლიდერებს, რომლებსაც „დემოკრატია“ ესმით როგორც ფაშისტების უფლება — ქადაგებენ თავიანთი კაცთმოძულე შეხედულებებს. თუ თანისტებს შეუძლიათ თავიანთი შეხედულებების თავისუფლად ქადაგება, ესე იგი შეუძლიათ პასუხსაგები პოსტების დაკავება. ხოლო თუ კი შეუძლიათ ასეთი პოსტების მიღწევა, ეს იმას ნიშნავს, რომ ადვილად შეძლებენ სამთავრობო დაწესებულებების, არმიებისა და სამინისტროების სათავეში მოხვედრასაც. ძნელი წარმოსადგენია, თუ რას მოიმოქმედებდნენ ასეთი ხელმძღვანელები ადამიანის უფლებათა დაცვის საბაბით, ნეიტრონული ბომბი რომ ხელში ჩაუვარდეთ!

„ტაიმსში“ დაბეჭდილი ერთ-ერთი წერილის ავტორი იმედოვნებს, რომ „მეორე მხარე“ გამოიგონებს ისეთ ბომბს, რომელიც მოსპობდა ყოველგვარ უძრავ ქონებას და „ცოცხლად დაგტოვებდა ჩვენ, ღარიბ ადამიანებსო“. ცხადია, ეს ნაღვლიანი და საკმაოდ ცინიკური წინადადებაა.

განა რომელ საღად მოაზროვნე ადამიანს შეუძლია იწამოს ნეიტრონული ბომბის პუმანურობა? ადამიანს, ვისაც აღელვებს ადამიანის ბედი და ჩვენი შვილების მომავალი? ადამიანს, ვისთვისაც ძვირფასია ევროპის კულტურული ღირებულებანი? ნუთუ შეუძლია ადამიანს, ვინც პატივს სცემს ისტორიას, სწამს მშვიდობა, ადამიანს, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყანა და თავისი ხალხი, მონაწილეობდეს ასეთი იარაღის წარმოებაში?

ჯეიმს ოლდრიჯი,
ინგლისელი მწერალი
ლონდონი.

პრეზიდენტი ჰანოიში

ვიეტნამ-კამპუჩიის საზღვარზე შექმნილი მდგომარეობის გამო

ჰანოი, 7 იანვარი. (საკდესი). აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესხა და ინფორმაციის განყოფილების გამგემ ნგო დიენმა განაცხადა, რომ ვიეტნამს, რომელიც ხელმძღვანელობს კამპუჩიისადმი ძმური მეგობრობისა და მისი სუვერენიტეტის პატივისცემის გრძნობებით, არ დუკავია კამპუჩიის მიწის არც ერთი მტკაველი.

ვიეტნამისა და კამპუჩიის საზღერების საკითხი, თქვა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, არის ორი ქვეყნის ურთიერთობის საკითხი, რომელიც მათ უნდა გადაწყვიტონ სრული თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის პატივისცემისა და ტერიტორიული მთლიანობის საფუძველზე.

ნგო დიენმა აღნიშნა, რომ კამპუჩიის მხარის მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის გზაზე აღმართული დაბრკოლებანი „შეშფოთებასა და სინანულს იწვევს. მაგრამ დარწმუნებული ვართ, განაცხადა მან, რომ კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ვიეტნამელი და კამპუჩიელი პატრიოტებისა და მებრძოლების ერთობლივად დაღვრილი სისხლით შედუღაბებული ორი ქვეყნის მეგობრობა ურღვევია, და ბოლოს და ბოლოს ეს მეგობრობა გაიმარჯვებს.

ნგო დიენმა კვლავ დაადასტურა, რომ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა მზად არის უყოყმანოდ შეუდგეს მოლაპარაკებას კამპუჩიასთან ნებისმიერ დონეზე, რათა მოწესრიგდეს სასაზღვრო საკითხი.

იტალია

საჭიროა რადიკალური გარდაქმნები

რომი, 6 იანვარი. (საკდესი). გაზეთ „უნიტაში“ გამოქვეყნდა იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის დოკუმენტი — „მუშათა კლასი, პარტია და კრიზისი, რომელსაც ქვეყანა განიცდის“. იგი უნდა გახდეს დისკუსიის საფუძველი პარტიულ ორგანიზაციებში 3-5 მარტისათვის დასახული კომუნისტ მუშათა მე-8 ეროვნული კონფერენციის წინ.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კაპიტალისტური სამყაროო უმძიმეს კრიზისს განიცდის, რომელიც იტალიაში ყველზე მწვავედ იგრძნობა. ქვეყნის ეკონომიკას ვერ დაუძლეია მოდუნება. „ზედმეტ ადამიანთა“ არმია უკვე 1 მილიონ 600 ათასზე მეტ კაცს შეადგენს.

ახლანდელ სიტუაციას ართულებს რეაქციის შეტევაც, რათა შეაჩეროს ქვეყნის დემოკრატიული განვითარება. ხალხის მასებმა, ხაზგასმულია იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის დოკუმენტში, გადაჭრით უნდა გაილაშქრონ ექსტრემისტთა ჯგუფების დანაშაულებრივი საქმიანობის წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ქვეყანაში შექმნან შიშისა და დაძაბულობის ვითარება, ხელი შეუშალონ მუშათა კლასსა და მის პარტიას სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობაზე.

1976 წლის პარლამენტის არჩევნების შემდეგ, რომელმაც წარმატება მოუტანა იტალიის მემარცხენე ძალებს, შეიცვალა პოლიტიკური ძალების განაწილება ქვეყანაში. მაგრამ ამჟამად, ხაზს უსვამს იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, თავს იჩენს წინააღმდეგობა ექვსი დემოკრატიული პარტიის ერთობლივ პროგრამასა და იმას შორის, რომ ეს პროგრამა უნდა შეასრულოს ქრისტიან-დემოკრატიათა ერთპარტიულმა მთავრობამ. ამიტომ კომუნისტები დაბეჯითებით „ითხოვენ შეიქმნას „დემოკრატიული სოლიდარობის“ ახალი მთავრობა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ მთელი დემოკრატიული ძალების, მათ შორის კომუნისტების წარმომადგენლებმა.

მოკლედ

ყოველ მსრიდან

□

● **ადის-აბება.** ეთიოპიის დედაქალაქში მუშაობა დაამთავრა კოლიტიკურმა ხემინარმა, რომელშიც მონაწილეობდა პროფკავშირების, ქვეყნის მუშათა კომიტეტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ათასზე მეტი წარმომადგენელი. **მისმა მონაწილეებმა განიხილეს ახლანდელ ეტაპზე პროფკავშირთა მიზნები და ამოცანები, მშრომელთა როლი ეთიოპიის ეროვნულ-დემოკრატიულ რევოლუციაში.**

● **კარაკასი.** პარაგვაის მუშათა კლასის ხელმძღვანელთა დაუყოვნებლივი განთავისუფლება მოითხოვეს ვენესუელის პროფკავშირებმა. ორი მილიონი ორგანიზებული ვენესუელელი მშრომელის სახელით ვენესუელის წამყვანმა პროფცენტრებმა პარაგვაის ელჩს კარაკასში გადასცეს განცხადება, რომელშიც პროტესტს აცხადებენ ამ ქვეყნის 21 პროფკავშირული მოღვაწის ამასწინანდელი დაპატიმრების წინააღმდეგ. ისინი ჩაყარეს „ემბოსკადის“ საკონცენტრაციო ბანაკში ანუნსიონის მახლობლად და სასტიკად აწამებენ.

● **ნიუ-იორკი.** ჟანაკ რეფფორდზე (ვირჯინიის შტატი) დილას სამხედრო საჰაერსაფრენოების ქარხანაში მძლავრი აფეთქება მოხდა. მთლიანად დაინგრა საწარმოს სამი შენობა, შძიმედ დაშავდა 6 კაცი. აფეთქება მოხდა საწყობში, სადაც ინახებოდა ნიტროგლიცერინის მარაგი. მხოლოდ შემთხვევით არ მოჰყოლია ამ აფეთქებას დიდი მსხვერპლი.

ეუნუხური ექოზაიკა

□

ცათამბჯენები ეჯიბრებიან ერთმანეთს

მიწის ნაკვეთების სისტემატური გაძვირება აიძულებს ამერიკელებს სულ უფრო მაღალი შენობები ააგონ. ამ ცოტა ხნის წინათ რეკორდი ეკუთვნოდა ნიუ-იორკის საერთაშორისო საავტო ცენტრს. 1974 წელს პირველობა ხელთ იგდო ამერიკის მეორე ქალაქმა — ჩიკაგომ, სადაც 110-სართულიანი ცათამბჯენი აღმართა. აქ განლაგდა მრავალფეროვანი კორპორაციის „სირს, რობაკ ენდ კომპანის“ შტაბ-ბინა. შენობის სიმაღლე 443 მეტრია. 40,8 ამექანარ საერთო ფართობზე განლაგდა ფირმის 16,5 ათასი მოსამსახურე, მათ 103 ლიფტი და 18 ესკალატორი ემსახურება.

მაგრამ „ცათამბჯენების“ შეჯიბრება“ ამით არ დამთავრებულა. ქალაქ ბარინგტონში (ილინოისის შტატი) იწყება 490 მეტრი სიმაღლის 120-სართულიანი რკინაბეტონის გოგანტის მშენებლობა. ცათამბჯენს „ბარინგტონის კოსმოსური წვეტი“ უწოდეს.

(ახს).

„მარსელები“ იორკშირში

იორკშირის საგრაფოში (ჩრდილოეთ ინგლისი) მცხოვრები ფერმერი ალბერტ ბარბერი დარწმუნებული იყო, რომ მის მინდორში მარსელები დაეშვნენ. ან კი როგორ არ დაეჯერებინა, როცა მბრწყინავი თეფშის მსგავსად ობიექტი მოკლე სიგნალებს გამოსცემდა, ხოლო მიწა მის ირგვლივ ერთიანად გადაბუნული იყო, როგორც ეს სამეცნიერო-ფანტასტიკურ ლიტერატურაში არის ხოლმე აღწერილი. უჩვეულო აღმოჩენით აღელვებულმა ფერმერმა პოლიცია გამოიძახა. წესრიგის დამცველები უფრო დაკვირვებულები აღმოჩნდნენ. „თეფში“ ყურადღებით რომ დაათვალიერეს, დარწმუნდნენ, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ ჯარისკაცის მუზარადი იყო ვერცხლისფრად შეღებილი. იქვე ანოვეს აშკარად „მიწიერი წარმოშობის“ პორტატული გადამცემი. როგორც ჩანს, ვიღაც ხუმარას, აზრად მოუვიდა „მფრინავი თეფშებეს“ შესახებ პრესის სენსაციური მონაჭორის განქიქება.

**გადაარჩინა ავტოკალამმ

ნახატი შემოქმედს მიაცილებდა

გ. ბაშინჯაღიანის დაბადების 120 წლისთავის გამო



გავშვობიდანვე ვიცნობ ამ ნახატს: უძველესი ციხე-სიმაგრის გალავანი მეწამულისფრად გასხივოსნებული ორი კოშკით; გალავნის წინ — წნელი ღობე და ხიდგვნარი; გალავნის იქით — ალაზნის ველის უკიდეგანო სივრცე; დილის ნაცრისფერ ბურუსში — მდინარის მოლივლივე ლენტი; გალმა — ტყის დაბურული ზოლი და ბოლოს, შორეულ სივრცეში, რომელიც იძულებულს გხდის თვალები მილულო — კავკასიონის თეთრად შოქათქათე მწვერვალები, ზეცისაკენ ამაყად რომ აღმართულან. ირგვლივ სამარადისო სიჩუმე სუფევს, მსუბუქი ჰაერი, ისეთი, რომ ბერს სულ ჩაისუნთქო და ჩაისუნთქო მისი დილის მაცოცხლებელი სურნელი...

მე ვყოფილვარ იმ ადგილებში, მომიხდია იმ ბაღლობზეც ასვლა, საიდანაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მხატვარი შთაგონებით გასცქეროდა ალაზნის ველს და შესაძლოა გუმანით უკვე წერდა თავის მომავალ ნახატს. მე ვხედავდი იმავე სივრცეებს, ჰაერის იმავე სიუხვესა და სილაღეს, იმავე, მაგრამ ახლა უკვე სულ სხვა ველს. მას ჰკვეთდა ალაზნის არხის ტეხილი ხაზი. ამ ველზე გადაჭიმული იყო ენინახების ფართო მასივები, ყვითელი ფერი გადაჰკრავდა უკვე მომკილ ყანებს, რომელთა მახლობლად მდებარე გზების მოასფალტებულ საფარზე ელევატორებისაკენ მიქროდნენ ახალი მოსავლის პურეულით დატვირთული ავტომანქანები.

მთის კენწეროზე მოუკალათებია სიღნაღი — ამ მშვენიერ, უაღრესად თვალწარმტაც ქალაქს. მიეშურები შარაგზის ზიგზაგებით ამ ქალაქისაკენ და უნებლიეთ გებადება კითხვა, რამ აიყვანა ამ სიმაღლეზე ადამიანები, მარტო იმან ხომ არა, რომ ამ სიმაღლეზე, ციხე-სიმაგრის გალავანს მიღმა უფრო უსაფრთხო, უსაშიშრო იყო ცხოვრება? ან კიდევ იმიტომ ხომ არა, რომ კავკასიონის ამაყი მთაგრეხილი, ამ სიმაღლიდან შორს გაწვდილი ველის დონეზე გესახება? ტყუილად რიდი უთქვამს გეორგ ბაშინჯაღიანს — სიღნაღის კვიდრს — „რა კარგი იქნებოდა, თუ ადამიანი შეძლებდა იცოცხლა მარად, თუნდაც იმიტომ, რომ ბუნების სილამაზით დამტკბარიყო“.

გეორგ ბაშინჯაღიანს უყვარდა ბუნება წმიდა და ფაქიზი სიყვარულით, იმ ადამიანის სიყვარულით, რომელსაც შეუძლია თვალი თავისი არსებით შეიგრძნოს იგი — ეს დაღლილი ბუნება.

ერთხელ განთიადზე მოიმარჯვა რა ფუნჯი, აიღო სალებავები და მოლბერტი, მხატვარი გაემართა მთის ფერდობისაკენ. დიდხანს დაჯო მან იქ და უკან დაბრუნდა... სუფთა ფუნჯითა და ხელუხლებელი ტილოთი.

„ბუნების სიდიადემ, მისმა მომხიბვლელობამ იმდენად დამიპყრო, — იგონებდა შემდეგ ბაშინჯაღიანი, — რომ ყველაფერი დამავიწყდა, როგორც მოჯადოებული თვალმოუშორებლად გავიცქეროდი სივრცეს და ვერ დავმტკბარიყავი ნახულით“.

ნახატი ტილოზე გაცოცხლდა და აისახა გაცილებით გვიან, უკვე მხატვრის სახელოსნოში...

კავკასიის ბუნება, მშობლიური მხარის ბუნება მხატვარს ყველაზე ჭეტად უყვარდა. გეორგ ბაშინჯაღიანი მოხიბლული იყო ფუნჯის მრავალი ოსტატის მიერ ასახული იტალიის ბუნებით, მაგრამ მას ხიბლავდა სულ სხვა რამე. „უბრალო სოფლური პეიზაჟი, — წერდა ის, — მთის პატარა მდინარე, ქვეთაკენ რომ მორაკრაკებს, ღარიბული სოფლური ქოხი შრომისმოყვარე მოსახლეებით მე და ჩემს გულს უფრო მეტს აუწყებენ, ვიდრე მთების კალთებზე აღმართული დიდებული სასახლეები შადრევნებითა და ხელოვნური პარკებით...

მაგრამ დავუბუნდეთ სიღნაღს — ამ მყუდრო, სუფთა ქალაქს, სადაც მუდამ სუფევს არაჩვეულებრივი სიჩუმე, სადაც ადამიანები ყოველთვის მშვიდად, უხმაუროდ საუბრობენ. სწორი ქუჩები ამ პატარა ქალაქში ძალიან ცოტაა. ის თითქმის მთლიანად დასერილია აღმართ-დაღმართებით.

... ჩლუსკინელების ქუჩა ციხე-სიმაგრის გალავანს ეკვრის, რომლის მრგვალ კოშკზე ძველი ეკლესიის სამრეკლოა. გვერდით, არაფრით რომ არ გამოირჩევი, ერთი სახლია, მის მოპირდაპირე მხარეს — პატარა ბაღი, სადაც ხარობს ლეღვი, ქლიავი, ვაზი...

აქ, ამ სახლში 1857 წელს დაიბადა გამოჩენილი მხატვარი გეორგ ზაქარიას ძე ბაშინჯაღიანი.

ამბობენ, აქ, ამ ძველი სახლიდან, სადაც თავისი ბავშვობის წლები გაუტარებია მხატვარს, დროთა ვითარებას მხოლოდ ორი კედელი გადაურჩენია. იქნებ ეს ის კედლებია, რომლებზეც თორმეტი წლის ბიჭუნამ, ოჯახის ღარიბული მორთულობის გასამდიდრებლად, კარგი და დიეანი რომ მიახატა, გაშოსახა ტანსაცმლის საკიდარი, თანაც ისეთი ოსტატობით, რომ ერთხელ სტუმარმა იგი ნამდვილ საკიდრად მიიჩნია და უნდოდა ქუდი ჩამოეკიდა, ის კი იატაკზე დაეცა.

ბაშინჯაღიანების ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა. განსაკუთრებით გაუჭირდათ მამის გარდაცვალების შემდეგ. თოთხმეტი წლის გეორგი ხატავდა აბრებს და თითოეულ მათგანში მღებავ მიხაკასგან 20 კაპიკს იღებდა.

ნორჩი მხატვარი 1874 წელს თბილისში წავიდა ბედის საძიებლად. ის გაჭირვებულად ცხოვრობდა, მაგრამ სწავლობდა, სწავლობდა თავდავიწყებით, ჯერ თბილისის სამხატვრო სასწავლებელში, შემდეგ კი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. მისი მასწავლებელი იყო ცნობილი მხატვარი მ. ა. კლოდტი, ხოლო ხშირი მრჩეველი — დიდი მარინისტი ი. კ. აივაზოვსკი.

შემდეგ ჰპოვა აღიარება. გამოფენები თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, ბარიზში... მას არასოდეს არ უღალატია თავისი შეხედულებებისათვის, მუდამ იყო რეალისტური მრწამსის, ჭეშმარიტად მართალი ხელოვნებისადმი ერთგული. რეალიზმი მხატვრის ერთადერთი შემოქმედებითი მეთოდი იყო, რისთვისაც ის იბრძოდა არა მარტო ფუნჯით, არამედ კალმითაც. ებრძოდა ფორმალიზმს ხელოვნებაში, ცრუხელოვნებას, იღვწოდა სიმართლისათვის. ბაშინჯაღიანს ეკუთვნის აზრი იმის თაობაზე, რომ ჭეშმარიტება ორი დის— ხელოვნებისა და ლიტერატურის დედაა.

ორი ათასზე მეტი ტილო შექმნა მხატვარმა თავისი ორმოცდაორი შემოქმედებითი წლის მანძილზე და ხელოვნების ისტორიაში შევიდა როგორც სომხური რეალისტური პეიზაჟის ფუძემდებელი.

შემდგომ მარტიროს ს ა რ ი ა ნ მ ა გეორგ ბაშინჯაღიანი აღიარა „რევოლუციამდელი კავკასიის უველაზე დიდ მხატვრად“. ავტორს ისაკიანი კი ეხსენებდა: „ჩვენი თაობა აღტაცებული იყო მისი ნაწარმოებებით, როგორი ღრმა პატრიოტიზმი ცოცხლობდა მის გულში!“

გეორგ ბაშინჯაღიანმა მხატვრის დიდი, შთამაგონებელი ცხოვრებით იცხოვრა — კედელზე მიხატული საკიდარიდან არაარატის, სევანის, ალაზნის ველის უმშვენიერეს ტილოებამდე, რომლებსაც ატყვია გამოჩენილი „პეიზაჟისტის უტკბილესი ოსტატობა.

მხატვარი ბაშინჯაღიანი დაჯილდოებული იყო არაჩვეულებრივი ლიტერატურული ნიჭითაც. წერდა მოთხრობებს, ნარკვევებს, მოგონებებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ განსაცვიფრებელი ხელვით, გულწრფელობით, ენის კეთილშობილური უბრალოებით. მაგრამ მისი ლიტერატურული ინტერესების ყველაზე აბაღლებულ გამოხატულებას წარმოადგენდა უსაზღვრო სიყვარული დიდი პოეტის საიათნოვასადმი. ბაშინჯაღიანმა, რომელიც თავისუფლად ფლობდა ამიერკავკასიის ხალხთა სამივე ენას, მრავალი წელი მოახმარა უკვდავი ამუღის სომხური, ქართული და აზერბაიჯანული სიმღერების კვლევა-შესწავლას.

ავტორიტეტული მკვლევარი ამავე დროს იყო XVIII საუკუნის ვენიალური პოეტის შემოქმედების დაუცხრომელი პროპაგანდისტი და პოპულარიზატორი. ბაშინჯაღიანი აწყობდა საიათნოვასადმი მიძღვნილ ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოებს, ბრუნავდა და იღვწოდა მისი ნაწარმოებების გამოცემისათვის, თავისთან იწვევდა თბილისელ აშუღებს, ურიგებდა მათ პოეტის სასიმღერო ლექსების ტექსტებს...

1912 წელს კი მან მოწოდებით მიმართა სომეხ ხალხს საჭირო თანხები შეეგროვებინათ და საიათნოვას საფლავზე ძეგლი აეგოთ. მოწოდებამ მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა 1914 წელს გეორგ ბაშინჯაღიანის ესკიზებით შექმნილი ძეგლი პოეტის საფლავზე დადგეს.

მახსოვს გეორგ ბაშინჯაღიანის დაკრძალვა 1925 წლის ოქტომბერში. მრავალრიცხოვანი პროცესია ნიაღვარივით მეიდინებოდა ყოფილი გოლოვინის პროსპექტით, გადაკრა ერევნის (ამჟამად ლენინის სახელობის) მოედანი, შემდეგ შეიჭრა ვიწრო ქუჩებში, რომლებიც წმინდა გიორგის ეკლესიისაკენ მიემართებოდნენ. აქ, ეკლესიის კარიბჭესთან, იმ საფლავის შავი ღოდის გვერდით, რომლის ქვეშ განისვენებს საიათნოვა, გათხრილი იყო ახალი საფლავი. პროცესიის გზად, ერთერთი ძველი სახლის ხის აივანზე ვიღაცას ბაშინჯაღიანის პეიზაჟი გამოეფინა. ჩარჩოს კუთხე შავი ნაჭრით იყო შემკობილი.

ნახატი უკანასკნელი სასუფევლისაკენ მიაცილებდა თავის შემოქმედს, თვით კი რჩებოდა, რომ ეცოცხლა მარად...

კონსტანტინე სერებრიაკოვი.

ქ. მოსკოვი.

სურათებზე: ზემოთ მარცხნივ — გ. ბაშინჯაღიანი, მარჯვნივ მხატვრის ერთ-ერთი ნამუშევარი — „აბასთუმნის გზაზე“.



ᲛᲘᲓᲠᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პრესკონფერენცია

— ოლიმპიური ობიექტების მშენებლობის ტემპი მოსკოვში დამაკმაყოფილებელია, — განაცხადა პრესკონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლორდმა ფილანინმა. — მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მოსკოვის თითქმის ყველა ოლიმპიური ნაგებობა უსწრებს მშენებლობაში ოლიმპიადისწინა მონრეალს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი საბჭოთა დედაქალაქში იმყოფება „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის მოწვევით. მისი სამუშაო ვიზიტის მიზანი იყო გახცნობოდა ოლიმპიური მშენებლობის მიმდინარეობას.

— ჩვენ ვმუშაობთ უაღრესად მჭიდრო თანამშრომლობით, — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტი, — თქვა დასასრულ ლორდმა კილანინმა.

(საკდეხი).

ფეხბურთი

პირველი პარტიის წინ...

საუბარი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელთან ნ. ახალკაცთან

სულ ახლახან გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიისა და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა, რომელსაც განიხილა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივის შარშანდელი სეზონის შედეგები და წლევანდელი სპორტული სეზონისათვის მზადების საკითხები. აღინიშნა, რომ ფეხბურთელთა კოლექტივმა საკავშირო ჩემპიონატში კარგ მაჩვენებელს მიაღწია. გარდა ამისა, გაიმართა მკაცრი და პრინციპული ძსჯელობა იმ არსებით ნაკლოვანებებზე, რომლებმაც სამწუხაროდ, თავი იჩინეს შარშანდელი სეზონის მანძილზე.

შარშანდელმა საფეხბურთო სეზონმა სპორტის ამ სახეობის ქომაგებს სიხარულის არაერთი წუთი განაცდევინა, რის გვირგვინიც ის გახდათ რომ თბილისის „დინამომ“ კიდევ ერთი ხაბიჯი გადადგა წინ და საკავშირო ჩემპიონატში საპატიო — მეორე ადგილი დაიკავა. თუმცა იყო მატჩები, როცა მაყურებელი სინანულის გრძნობით ტოვებდა სტადიონის ტრიბუნებს. მაგრამ მწარე მარცხის დღეებშიც კი უკან დასახევ გზას გონიერი, ძლიერი კაცი არასოდეს არ იტოვებს. პირიქით, იგი ერთთავად ძიებაშია, უფრო სწორის, უფრო თანადროულის და გამიზნულ საქმეთა განხორციელებისთვის ზრუნავს. მონდობილ საქმეში საკუთარ შეცდომას თუ გაბედულად, მიუკერძოებლად გააანალიზებ, მომავალი წარმატების იმედი უფრო მეტად მტკიცდება, თავდაც ძალა გეძატება და ოპტიმისტური განწყობილებაც გექმნება: ის, რაც ზემოთ ვთქვეთ, ჭეშმარიტებად მიგვაჩნია და როცა ახალი საფეხბურთო სეზონის პირველი ეაოკინშა წინადღეს თბილისის დინამოელთა უფროს მწვრთნელს ნოდარ ახლაკაცს ვესაუბრებოდით, ეს ჭეშმარიტება უფრო მეტად ვიწამეთ.

მაშ ასე, თბილისის დინამოელები ნ. ახალკაცს ხელმძღვანელობით უკვე მესამე საფეხბურთო სეზონს იწყებენ, ჩვენ არ ვივიწყებთ წინა ორ სეზონში „დინამოს“ წარმატებითს ნაბიჯებს, არ ვივიწყებთ ცალკეულ წარუმატებელ გამოსვლებსაც. ჩვენ უფრო მეტი, უფრო ლამაზი და, რაც მთავარია, უფრო შინაარსიანი, უფრო მიზანსწრაფული, უფრო გაბედული თბილისის „დინამო“ გვინდა ვიხილოთ წლევანდელ სეზონში. ცხადია, ასევეა განწყობილი დინამოელთა უფროსი მწვრთნელი. სწორედ ეს აზრი გამოვიტანეთ მასთან საუბრიდან.

დინამოელები მოკლე შესვენების შემდეგ, 5 იანვარს შეიკრიბნენ თავიანთს საწვრთნელ ბაზაზე, დიღომში. ისაუბრეს მომავლის გეგმებზე, წარსული სეზონის ავ-კარგზე... 6 და 7 იანვარს გაიარეს სანაკრებო შემოწმება. უფროსი მწვრთნელი კმაყოფილია ამ შემოწმების შედეგებით. დღეს კი დიღმის ბაზაზე ჩვენი ფეხბურთელები ახალი სეზონის პირველ ვარჯიშს გამართავენ. თებერვლის შუა რიცხვებამდე ისინი თბილისში ივარჯიშებენ. გუნდის ხელმძღვანელობამ უარი თქვა უმაღლესი ლიგის გუნდების ზამთრის ტურნირში მონაწილეობაზე, რომელიც 16-22 იანვარს ეწყობა მოსკოვისა და ლენინგრადის დახურულ დარბაზებში.

ნ. ახალკაცმა ამასთან დაკავშირებით შეხვედრა:

— **ჩვენთვის ამგვარ შეჯიბრებაში მონაწილეობას აზრი არა აქვს, რადგან სამხრეთელებს ბუნებამ თბილი ზამთარი გვარგუნა და ღია მინდორზე ვარჯიშზე უკეთესს ვერაფერს ინატრებ. თებერვლის შუა რიცხვებში ვესტუმრებით ლენინგრადს და შავიზღვისპირეთის სტადიონებზე რამდენიმე საკონტროლო მატჩს გავმართავთ. სწორედ ამ პერიოდში დადგინდება გუნდის საბოლოო შემადგენლობა. 11 და 18 მარტს სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი ტურის მატჩების გამართვა მოგვიწევს, ხოლო აპრილის დამდეგს საკავშირო ჩემპიონატი დაიწყება და, რომ იტყვიან, — „ჰა ბურთი და მოედანი“.**

გუნდის ხელმძღვანელებს შემადგენლობაში განსაკუთრებული ცვლილებები არ შეუტანიათ. გუნდიდან წავიდნენ ბ. გაგოშიძე და ზ. წერეთელი. კოლქმტივს შეემატება 3-4 ახალგაზრდა ფეხბურთელი. დინამოელთა ხელმძღვანელობამ ქუთაისის „ტორპედოდან“ ცენტრალური მცველის თ. სულაქველიძის გადმოყვანას საკითხი აღძრეს. აი, ძირთად ცვლილებათა შესახებ.

სსრ კავშირის ნაკრების მზადებასთან დაკავშირებით „დინამოს“ ოთხი ფეხბურთელი (ე. ყიფიანი, რ. შენგელია, თ. კოსტავა და რ. ჩელებაძე) 9-12 იანვარს მოსკოვში გაიელის სამედიცინო შემოწმებას.

— **დინამოელთა ძირითადი შემადგენლობის 18 მოთამაშის საშუალო ასაკი 24 წელს არ სცილდება — გვითხრა ახალკაცმა. უმაღლესი ლიგის გუნდებში ეს ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. ბუნებრივია, ეს დიდ პერსპექტივას გვისახავს — არსებობს ფეხბურთელთა შემდგომი დაოსტატების დიდი შესაძლებლობა.**

ახალკაცს თანამედროვე ფეხბურთში არ სწამს ცალკე დაცვითი სისტემა და ცალკე შემტევი. მისი აზრით, საქართველოს თამაშის ისე ბალანსირება, რომ ყოველ საჭირო სიტუაციაში გუნდი ერთსულოვნად იცავდეს თავს და როგორც კი ბურთს ხელში ჩაიგდებს, მზად იყოს შეტევის რაც შეიძლება ფართო ფრონტით წარმოებისათვის.

— **ყოველივე ეს ფეხბურთელებისგან მოითხოვს სწორ ტაქტიკურ აზროვნებას, ფიზიკურ მომზადებასა და, ცხადია, უზადო ტექნიკას, — თქვა ნ. ახალკაცმა. — ჩემპიონატისთვის მზადების პროცესში სწორედ ამ თვისებების გამომუშავება-დახვეწას დაეთმობა დიდი ადგილი.**

გამოთხოვებისას დინამოელთა უფროსმა მწვრთნელმა გვითხრა:

— **ჩვენ, „დინამოს“ მწვრთნელები — მე, კახი ასათიანი და სერგო კუტუბაძე თავს არ დავზოგავთ, რათა ფეხბურთის მოყვარულთა იმედები გავამართლოთ. სამწუხაროდ, შარშან ჩვენმა გუნდმა მთლიანად ვერ გაამართლა ქომაგთა იმედები და ეს მძიმე ტვირთად გვაწევს. თუნდაც ის მწარე დამარცხება ციურიხში, რომელმაც ასე დაგვწვიტა გული ჩვენცა და ჩვენს კეთილისმსურველებსაც. მათს წინაშე ვალში ვართ და ვეცდებით კეთილსინდისიერი მუშაობით, კოლექტივში მტკიცე, შეგნებული დისციპლინის დამყარებით გამოვასწოროთ შარშანდელი საფეხბურთო სეზონის მიწურულში შექმნილი უსიამოვნო მდგომარეობა.**

ჯ. ენუქიძე.

თასის მფლობელი ემზადება

— **ჩვენი** მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება უკეთ მოვემზადოთ თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩებისათვის, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მოსკოვის „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა ა. სევიდოვმა. — ჩვენ შევიმუშავეთ მზადების სპეციალური გეგმა. ახლა ვვარჯიშობთ „დინამოს“ დახურულ მანეეში, სპორტდარბაზში, აუზში და სარგენ ბილიკებზე. 11 იანვარს მზადებას განვაგრძობთ ლესელიძეში, ხოლო იანვრის დამლევს და თებერვლის დასაწყისს ბულგარეთში რამდენიმე მატჩის გამართვა გვაქვს განზრახული. შემდეგ ვესტუმრებით ბელგიას და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. კარგ ფორმაში მყოფ ძლიერ საფეხბურთო კლუბებთან თამაშები ევროპელ ტურნირში წარმატებით გამოსვლის საწინდარი უნდა იყოს.

სპორტი

ᲙᲐᲚᲔᲓᲐᲠᲘᲣᲛᲘ

პრეტენდენტთა მატჩი

ბელგრადი, 7 იანვარი. (საკდესი). მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ბ. სპასკისა და ვ. კორჩნოის ფინალური მატჩის მეთექვსმეტე პარტია 43-ე სვლაზე გადაიდო.

ბ. სპასკიმ, რომელიც თეთრებით თამაშობდა, წინა შეხვედრებისაგან განსხვავებით პარტია დაიწყო ლაზიერის პაიკის ორ უჯრაზე წინ წაწევით. ამრიგად, მან აირჩია ეშვეიცარიული ვარიანტი, სადაც ადრევე იცვლება მსუბუქი ფიგურები. მე-12 სვლისათვის ლაზიერებიც კი გაიცვალა.

დღეს ეს პარტია ყაიმით დამთავრდა.

ᲪᲣᲠᲕᲐ

უფრო სწრაფად

ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 16 წლის ავსტრალიელმა სპორტსმენმა გოგონამ მიშელ ფორდმა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა—8 წუთი და 34,86 წამი. მანამდე რეკორდის ფლობელი იყო ოლიმპიური ჩემპიონი ჰ. ტიუმერი (გდრ) — 8 წუთი და 35,04 წამი.

სპორტული ლოტარეა „მერანი“

ᲕᲘᲜ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ

ბაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული **ო. ტაბაძის** ხუთსტრიქონი ამოცანა შემდეგნაირად ახსნებდა: **1. კc5! მფa6** (1... მფa4 2. ეხ6. 3. კd4 მფa4 4. კc3) **2. ეხ4 3. a4 მფa6 4. ეხ8** და შავებს ორივე ვარიანტში „ექმ-შამათი“ აქვთ. ამ ამოცანას ჩვენს მკითხველებს შორის დიდი წარმატება ხვდა წილად.

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი ამოხსნა: ბ. გულედანი (მესტიის რ. ჭუბერი), ტ. მართალაშვილი (ქობულეთის რ. ქაქუთი), ვ. პავლიაშვილი (ასპი), ჯ. ცინცაბაძე, გ. ბაზაძე (ორივე — ბახარიანის რ. შრომა), ა. ქართველიშვილი (ხაშური), მ. მეტრეველი (გაგრა, ლიმაკავა), შ. ფარფალავა (ბიჭვინთა), თ. ჯორთმენაძე (ქედის რ. დანდალო), რ. რუსული (ზესტაფონის რ. ქვედა საქარა), ა. ბერძენიშვილი (ჩოხატაურის რ. შუაფარცხმა), ფ. ჩაკლეიშვილი (ბახარიძე), გ. ტურაშვილი (ლაგოდეხი), მ. ქვლეფიძე (საგარეჯო), დ. ყეენიშვილი (თიანეთი), ვ. წოწორია (ვეგეტკორი), ა. გრძელიძე (ლანჩხუთის რ. სუფსა), გ. ეჯიბია (მენჯი), ხ. სუპატაშვილი (ქუთაისი), ვ. ბიჭიკაშვილი (ასპის რ. ხოვლე), ა. ბურდული, მ. ყაულაშვილი (ორივე რუსთავი), ა. ბიბილური, ვ. კუტალია, ტ. და ო. მამულაშვილები, გ. ქადაგიშვილი, გ. კვატაიდ, დ. ჩიხნალაძე, მ. ქიმარეიშვილი, რ. ბეკურიშვილი (ყველა — თბილისი).

□

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 4 იანვარს გამართული „სპორტლოტო“ და „სპორტლოტო-2“-ის პირველი ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; ვინც ხუთი პლუს ერთი ნომერი გამოიცნო, მოიგო 4.705 მანეთი, ვინც ხუთი ნომერი — 3.705 მანეთი, ოთხი ნომერი — 73 მანეთი, სამი ნომერი — 3 მანეთი.

„სპორტლოტო-2“: აქაც ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო მოიგო 5.000 მანეთი, ოთხი ნომერი—92 მანეთი; სამი ნომერი —3 მანეთი.

პირველი ტირაჟის მოგებათა გადახდა იწყრმოებს 15 იანვრიდან 15 თებერვლის ჩათვლით.

გაცნობებთ 7 იანვარს გამართული „შაბათის სპორტლოტოს“ (36-დან 5) 1978 წლის პირველი ტირაჟის შედეგებს.

1-ლი ტირაჟი: 3 (ბობსლეი), 11 (ტანვარჯიში), 20 (თხილამურები — ტრამპლინი), 24 (ხელბურთი), 32 (ფარიკაობა).

მე-2 ტირაჟი: 2 (ბიატლონი), 6 (კლასიკური ჭიდაობა), 16 (ცხენოსნობა), 19 (სათხილამურო რბოლა), 23 (წყალში ხტომა).

(საკდესი).

რედაქტორი

დ. მჟელიშვილი.

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲘ. **შ. ᲐᲘᲕᲐᲖᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.**



ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲓᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ

ᲤᲝᲗᲝᲚᲘ

უცბად ისეთი სროლა ატყდა, რომ თავზარდაცემული და დაბნეული ხალხი ეზიზღება და სახლებში აფარებდა თავს... აურზაურით შეშინებული მეპატრონეები ფიცარფიცით ამტვერნენ დუქნებს.

ამ არეულდარეულობაში გამხდარი, შაღალი, თმაგადავარცხნილი გიმნაზიელი გამოჩნდა, აუჩქარებლივ რომ მოაბიჯებდა ქვაფენილზე, ქუჩა გადაიარა და ვერცხლის ქუჩის ჩიხის დასაწყისში შეჩერდა... ნეტავი რა ამბავია, რა მოხდა? — ჩაილაპარაკა მან თავისთვის და ის იყო ფეხის ხმაც მოესმა... მისკენ გაფითრებული, დაჩრილი კაცი მოემართებოდა...

— ახალგაზრდავ, მომეხმარე. მიმართა მან ყმაწვილს, დაჩრილი ვარ.

— ახლავე, ძია, — ჭაბუკმა დაჩრილს თხოვნა შეუსრულა, ჭრილობა შეუხვია.

— მე და ჩემს მეგობრებს პოლიციელები მოგვდევენ, მაგრამ ვერ მივართვით, ცოცხალი თავით არ დავნებდით!

— სად არიან თქვენი მეგობრები?

— დაიფანტნენ, ერთი ამხანაგი მოგვიკლეს!

— რას ვერჩიან პოლიციელები?

— ახლა ლაპარაკის დრო არ არის, დახმარებისათვის გმადლობთ! თუ გადავრჩი, მოგხანავ, სიკეთეს სიკეთით გადაგიხდი!

— სახლამდე მიგაცილებთ, ნებავთ, ჩემთან წამობრძანდით, ახლოს ვცხოვრობ!

— არა, შენ ჩემი გულისთვის შეიძლება დაიღუპო!

— მაგის ჯავრი ნუ გაქვთ!

— იცოდე მე არ მიცნობ და არ გინახავარ!..

უცნობი კაცი ბარბაცით დაბორდა გიმნაზიელს, იგი ვიწრო ქუჩას გაუყვა და დაყირავებულ ორსართულიან სახლს მიეფარა... ჭაბუკი გაოგნებული იდგა. გიმნაზიელი ერთბაშად შეკრთა, სახე აეთვო, თითქოს ფეხზე დააბიჯესო, უკან დაბრუნდა, ერთ წერტილს დასჩერებოდა, ფანჯრებთან დაიხარა და სისხლის ფოთოლი ამოიღო. ფანჯრიდან, სწრაფად მიმოიხედა, ფანჯარაზე დაცემული ფოთოლი აიღო და უფანაშაოლო ადამიანის სისხლის წვეთს დააფარა, ფანჯარა, ფეხზე... იგი ძლიერ განიცდიდა, მზად იყო მხარში ამოსდგომოდა კაცს, რომელმაც წარეშლილი შთაბეჭდილება დატოვა მასზე. ბოლოს მაინც გადაწყვიტა უცნობ კაცს დასწეოდა და მისი ბედი გაეზიარებინა, რომ რევოლვერმომარჯვებული ორი პოლიციელი დაადგა თავს.

— ვინა ხარ, ვის უცდი, რას ეძებ?! — უყვირა წამოჭარხლებულმა პოლიციელმა.

— გიმნაზიელი ვარ.

— გეგიდათ, რომ გიმნაზიელი ხარ, მაგრამ ვის ელოდები?

— არავის არ ველოდები, შინ მივდივარ.

— აქ გამოვლილი დაჩრილი, შავქუდიანი კაცი არ გინახავს?

— არავის გამოვლია!

— სტყუი!

— არავინ მინახავს-მეთქი!

— გიმნაზიელი ჩვენ სახეირო რამეს გვეტყვის? — უთხრა მეორე პოლიციელმა, მოუბრუნდა მოსწავლეს და დაუტატანა: — ახლავე დაიკარგე აქედან, შე ნაწანწალ!

პოლიციელები დაგეშილი მეძებრებივით გაუყვნენ ქუჩას...

ყმაწვილმა კაცმა არ დააყოვნა, დაიხარა, სისხლიანი ფოთოლი აიღო, წიგნში ჩაიდო და იქაურობას მოსცილდა... მთელ ღამეს მის თვალს ძილი არ მიჰკარებია, ფიქრობდა, ესახებოდა ქანცგამოლეული, დაჩრილი ვაჟკაცი, რომელსაც სწამდა სიმართლე, ბრძოლა ხალხის უკეთესი მომავლისათვის, და მზად იყო მისთვის სიცოცხლე შეეწირა...

სისხლით დალაქავებულ ფოთოლს გიმნაზიელმა მელნით დაუწერა: „1917 წლის 21 ივლისი, პარასკევი“ და სათუთად გადაინახა იგი...

მას შემდეგ ექვს ათეულწლეულზე მეტმა დრო განვლო. მე მალე სამოცდათხუთმეტი წლის შეესრულდები და სიამაყით მინდა გაეწყოთ, რომ სისხლით დალაქავებული ფოთოლი ჩემი ცხოვრების ერთგული მეგზური, მრჩეველი და შთამაგონებელი იყო, მას მჯერდით ვატარებდი ყოველთვის და კვლავაც გავუფრთხილდები, როგორც წმიდათაწმიდა საფიცარს — მითხრა ჩვენმა ღაეწლმოსილმა ადამიანმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ოსიპ ვლადიმერის ძე ჭოკიაშვილმა, რომელსაც აქ მოთხრობილი ამბავი უმაწვილობაში გადახდა.

გიორგი კაკიაშვილი.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲐ ᲒᲕᲐᲛᲪᲜᲝ

ᲑᲐᲛᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ

ზუგდიდი. ჰაქვინჯის დიდებერის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა შეხვედრა მოუწყვეს ნიგრეზინსკაიას მშენებლობის კომკავშირული ბრიგადის ბრიგადირს, კომკავშირის პრემიის ლაურეატს ვალერი რუხაიას.

შეხვედრის დროს იგი მოსწავლეებს ბამის ბრანდიოზულ მშენებლობაზე ესაუბრა, ხოლო მოსწავლეებმა სტუმარს თავიანთი წარმატებები გააცნეს.

დასასრულ მოსწავლეთა ძალებით კონცერტი გაიმართა. სხვა ნომრებს შორის აქ შესრულდა „სიმღერა ბამზე“.

გ. ალშიბაია.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲔᲥᲐᲜᲘ ᲪᲘᲛᲪᲘᲛᲔᲑᲡ

ხელვაჩაურის რაიონში მაჰახელის ხეობა ყველაზე ნაღალმთიანი ადგილია. აქ სულ რამდენიმე სოფელია. ახლახან მაჰახელაძე დამონტაჟდა დამატებითი სადგური.

ხეობის მშრომელთა ბინებში ცისფერი ეკრანი აციმციმდა.

ზ. მალაქმაძე.

ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲪᲜᲔ

ხობი. „სიხარულის მაცნე“ — ასე შეარქვეს რაიონის მშრომელეთა ფოსტალიონ არისტარხ ბერაიას. ეს სამოცი